# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | სამშაბათი, 12 აგვისტო 1997 №93 (458) | ფასი 40 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

CHAMPIONS LEAGUE

ბაიერი — დინამო

ლევერკუზენი. „ულრიხ ჰაბერლანდ შტადიონ". 13 აგვისტო

## საშინაო დავალება: როგორ მოვუგოთ „დინამოს" დიდი ანგარიშით?

სწორედ ასეთი საშინაო დავალება მისცა ლევერკუზენის „ბაიერის" მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა თავის ფეხბურთელებს — ყოველ მათგანს შინ თბილისის „დინამოს" თამაშის ვიდეოკასეტა და ამ თამაშის შესახებ საკუთარი



BAYER LEVERKUSEN: Eric Meijer stürmt von Beginn an neben Ulf Kirsten

Daum verteilte Hausaufgaben

Hart für Albertz und Thom

DYNAMO TIFLIS: Georgiens Meister seit letzten Mittwoch in Deutschland

Aus dem fernen Moskau kam ein neuer Libero

**გუშინდელმა „კიკერმა" მომავალ მატჩს დიდი ადგილი დაუთმო**

ჩანაწერები გაატანა. თან საფუძვლიანად შესწავლა მოითხოვა. ერთი სიტყვით, გერმანელები ნამეტანი სერიოზულად ემზადებიან ქართველთა დასახვედრად, რომელთაც გერმანიაში ერთი მატჩი უკვე გამართეს და 10:0 მოიგეს!

ცხადია, ეს მხოლოდ საწვრთნელი შეხვედრა გახლდათ ერთ-ერთ სამოყვარულო გუნდთან, რომელიც შტუტგარტის მახლობლად, რუიტის ცნობილ საწვრთნელ ბაზაზე გაიმართა. სამი გოლი იაშვილს გაუტანია. „დინამოს" ხელმძღვანელობა მომზადების პირობებით მეტად კმაყოფილი ყოფილა, რაც ყოფიანმა იქაურ გაზეთებში აღნიშნა კიდეც. რაც მთავარია, ტრავმები და სხვა ცუდი რამეები ჩვენს ფეხბურთელებს არ შეყრიათ. ასე რომ, ხვალ, თბილისის დროით ღამის თორმეტის ნახევარზე „დინამო" ლევერკუზენის სტადიონზე, ანჩაბაძეს თუ არ ჩავთვლით, საბრძოლო შემადგენლობით გამოვა. რადგან სიტყვა ამაზე ჩამოვარდა, აქვე გუნდების სავარაუდო შემადგენლობებს შემოგთავაზებთ, ოღონდ ჟურნალ „კიკერის" ვერსიით.

**ლევერკუზენი: ჰაინენი, ნოვოტნი, ვიორნსი, ჰაპე, ლენჰოფი, ემერსონი, რამელო, ბაინლიხი, ჰაინცე, კირსტენი, მაიერი.**
**დინამო: ზოიძე, ლობჟანიძე, დიდავა, ჯელაძე, კალაძე, ჩხაიძე, კიკნაძე, გოგიჩაიშვილი, მუჯირი, ცქიტიშვილი, იაშვილი.**

თუ გუშინდელ „კიკერს" დავუჯერებთ, საქართველოს ჩემპიონი 6 მცველით აპირებს თამაშს, რაც გასაკვირი ნამდვილად არ გახლავთ. სამაგიეროდ, კრისტოფ დაუმმა კითხვაზე, რა ტაქტიკით ითამაშებთო, ასე უპასუხა — ტაქტიკა მარტივია: პირველი წუთიდან შეტევა, რაც შეიძლება ბევრი გოლის გატანა და საკუთარში არცერთის გაშვება.

ასე რომ, ხვალ, დანიელი მსაჯის მიკელსენის სასტვენისთანავე მასპინძლები შეტევას აპირებენ, მათ კი, ვინც ამ შეტევების ყურებას აპირებს, ვაცნობებთ, რომ მატჩის ტრანსლაციას აწარმოებს RTL (აიეტი TV-ის 25-ე არხზე რომაა), ხოლო ლევერკუზენში დატრიალებული ამბების შესახებ საფუძვლიანად ხუთშაბათის და შაბათის „სარბიელებში" გაეცნობით — წუხელ ლევერკუზენში ჩვენი *სპეციალური კორესპონდენტი ვახტანგ ბზიკაძე* ჩავიდა.


# ყურადღება!
## სექტემბრიდან
# სარბიელი
## ორშაბათს,
## სამშაბათს,
## ხუთშაბათსა და
## შაბათს გამოვა


# ათენში აღარ კვდებიან
## წამოდექით ჯანმრთელ ფეხებზე!

ილია ბაბუნაშვილი

ათენიდან



რა საჭიროა? ვკითხულობდი ყოველთვის. რა საჭიროა? მესმოდა ყველა მხრიდან. რა საჭიროა? გავიფიქრე ათენის ოლიმპიურ სტადიონზეც, როდესაც ბილიკებზე ინვალიდთა ეტლები გამოჩნდა. ისინი ფინალისთვის ემზადებოდნენ, ნაღდი, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისთვის. მათი შეჯიბრება პროგრამაში ისევეა შეტანილი, როგორც 200 მეტრზე სირბილი ან მარათონი.

თურმე უსაფუძვლოდ ვკითხულობდი. ვცდებოდი, რადგან ინვალიდები მეცოდებოდნენ. ახლა კი, როდესაც მათი შეჯიბრება საკუთარი თვალით ვიხილე და მათი ჩემპიონის პატივსაცემად შესრულებული ავსტრალიის და მექსიკის ჰიმნებს საკუთარ, ჯანმრთელ ფეხებზე წამოვუდექი, მივხვდი, რომ ისინი არ არიან ისეთი დამცირების ღირსნი, როგორიცაა შეცოდება. მე უნდა შემეცოდოს მსოფლიოს ჩემპიონი? მხოლოდ იმიტომ, რომ მას ფეხები არა აქვს, მეკი მაქვს? სულით ვინ უფრო ძლიერია? ბოლოს და ბოლოს, ადამიანი ხომ სულით აღიქმება და არა ფეხით, ხელით თუ ყურით.

ინვალიდი კაცები 1500 მეტრზე გაეჯიბრნენ ერთმანეთს. დახეთ, რას ამბობს გამარჯვებული მექსიკელი საულ მენდოსა: — ეს ჩემთვის მსოფლიოს მესამე ჩემპიონატი გახლდათ. საკუთარი ასპარეზობით ძალიან კმაყოფილი ვარ. შინ, ოლიმპიურ საწვრთნელ ცენტრში ძალიან კარგად მოვემზადე და ამიტომაც გავიმარჯვე. ათენის სტადიონის მკვრივი, სწრაფი ბილიკიც ერთობ მომეწონა.

იგრძნობა ამ სიტყვებში, რომ მისი მთქმელი ინვალიდია? ქვასავით ჯანმრთელი მორბენლები თუ უროს მტყორცნელები განსხვავებულად ლაპარაკობენ?

მენდოსას დრო 3:06.30 წუთი იყო, 3:06.42 ჰქონდა მეორეზე გასულ შვეიცარიელ ჰაინც ფრეის, 3:06.43 კი ბრინჯაოსმედალოსან კვლავ შვეიცარიელ ფრანც ნიეტლისპახს.

ინვალიდი ქალების დისტანცია უფრო მოკლე გახლდათ — 800 მეტრი. გაიმარჯვა ავსტრალიელმა ლუის სუვაჯმა (1:52.11), მეორე იყო კანადელი შანტალ პეტიკლერკი (1:52.49), მესამე — ბრიტანელი ტანი გრეი (1:56.46).

ქალთა 200 მეტრზე სირბილში გაიმარჯვა ჟანა პინტუსევიჩმა, ყოფილმა ტერნოპოლსკაიამ. როგორც ჩანს, მძლეოსან ქალებზე გათხოვება ცუდად სულაც არ მოქმედებს. ყოველ შემთხვევაში, უკრაინაში, ყოველ შემთხვევაში, პინტუსევიჩზე გათხოვება.

ამ გარბენში, თავიდან იამაიკელი ვარსკვლავი მერლინ ოტი გაიჭრა წინ. მაგრამ ბოლო 30 მეტრს რიხი და ჯანი დააკლო, რითაც უკრაინელმა იხეირა. ოტი (22,40 წმ) მესამე დარჩა, მეორე იყო შრილანკელი ჯაიასინგი (22,39), პირველი კი, როგორც მოგახსენეთ, პინტუსევიჩი (22,32).

ორ რამეს დავძენ. ერთი ის, რომ ამ დისტანციას შარშან სამი მუდმივი ფავორიტი გამოაკლდა — სპორტს თავი დაანებეს. მეორეც, უკრაინული ფარმაცევტიკის გადამკიდეს, არ მჯეროდა, რომ პინტუსევიჩს მხოლოდ ალუბლის წვენი, კოკა-კოლა ან თუნდაც არაყი ჰქონდა დალეული. თუმცა, მე რა მჯეროდა და რა არა, პინტუსევიჩს სული არ ედარდება.

ვაჟთა 200 მეტრი. ტრინიდადელმა ატო ბოლდონმა მთავარ კონკურენტს, ნამიბელ ფრენკ ფრედერიკს გვარიანად აჯობა. ბოლდონის დრო იყო 20,04 წამი, ფრედერიკისა 20,83. მესამეზე ბრაზილიელი კლაუდინეი და სილვა გავიდა. საგულისხმოა, რომ ბოლდონმა პირველი რაუნდიდან მოყოლებული შედეგი სულ აუმჯობესა.

გახარებულმა და გამარჯვებულმა ატომ ხალხს თავისი ფეხსაცმელი და სათვალე უსახსოვრა — ტრიბუნაზე ისროლა.

— დროით ნამდვილად უკმაყოფილო ვარ, თუმცა პირველ ადგილზე გავედი. რაც 100 მეტრზე სირბილისას ჩემმა სხეულმა ვერ შეძლო, 200 მეტრზე გონებამ გააკეთა. ფრედერიკსზე კი გული მწყდება. ის ჩემთვის მხოლოდ მეტოქე კი არაა, კაცობის მაგალითია. ის დიდი სპრინტერია. ოლიმპიადაზე კიდევ გავეჯიბრები. — განაცხადა ბოლდონმა.

— ამ ბოლო დროს მეორე ადგილზე გავეჩხირე. არა უშავს, დაღლილი ვარ და ვერცხლიც მაწყობს — თქვა ფრედერიკსმა.

დანიელი კენიელი უილსონ კიპკეტერი კი კენიელ კენიელ უილსონ კიპკეტერში არ უნდა ავურიოთ. ამით სულაც არ ვამბობ იმას, რომ ამ ორი კაცის ერთმანეთში არევით ქვეყანა დაიქცევა. ის კი არა, რაც ჩვენში მავან ჩინოსანთ გლენ ჰოდლი და კრის უოდლი არევიათ ერთმანეთში, იმდენი ჩვენ სიცოცხლე, მაგრამ მაინც...

ის ბიჭი, უილსონ კიპკეტერი, 3000 მეტრზე სირბილში რომ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, წარმოშობითაც კენიელია და მოქალაქეობითაც. იგი მსოფლიოს პირველობის დებიუტანტი გახლდათ და მეორე, ცნობილ კიპკეტერში რომ არავის არეოდა, სახელს და გვარს შორის ასო „ბ" ჩაიმატა. ცნობილმა კიპკეტერმა კი დანიაში შვიდი წლის ცხოვრების შემდეგ პასპორტი გამოიცვალა. ახლა იგი დანიის სახელით ასპარეზობს. თუმცა, ამ საპასპორტო თამაშის გამო შარშან ატლანტის ოლიმპიადაზე არ დაუშვეს. ახლა კიპკეტერ დიდს ყველაფერი რიგზე ჰქონდა და ჩემპიონიც გახდა. მისი დისტანციაა 800 მეტრი, შედეგი კი 1:43.38 წუთი, მეორეზე გავიდა კუბელი ნორბერტო ტელესი (1:44.00), ხოლო მესამეზე რიჩ კენა, ამერიკიდან — 1:44.25.



სერგეი ბუბკა — კაცი-ჩემპიონი: ათენში, მძლეოსანთა მეექვსე მსოფლიოს ჩემპიონატზე უკრაინელმა ჭოკით მხტომელმა მეექვსე ოქროს მედალი მოიპოვა

AP ათენიდან

— პირველივე ნაბიჯიდან წინ გავიჭერი. იმთავითვე ვიცოდი, რომ ასე აჯობებდა, სხვებს უნდოდათ, ჩემთვის ებიძგათ. ვერ მივართვი, მე თავად ვუბიძგებ ჩემს თავს. 1500? არა, გმადლობთ, მე 800 მეტრზე მორბენალი გახლავართ — თქვა უილსონ დიდმა.

ქალთა 400 მეტრიან თარჯრბენში მაროკოელმა ნეჯა ბიდუანმა იამაიკელ დეონ ჰემინგსს ბოლო 10-15 მეტრში გაასწრო და პირში ჩალა გამოავლო, რადგან იამაიკელს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ გვარიანად იგებდა. საბოლოოდ, ჩემპიონის დრო 52,97 წამია, რაც აფრიკის რეკორდია, ვერცხლის მედალოსნისა — 53,09, მესამეზე გასულმა ამერიკელმა კიმ ბეტენმა დისტანცია 53,52 წამში გაირბინა.

იხილეთ მეშვიდე გვერდი

# ძუკუზე ტაციაობაა



„დარასელია დროულად ჩამოვიდა“, „ქართველი ლეგიონერი საუკეთესოა“ — ასე დაასათაურეს ებრაულმა გაზეთებმა იმ მატჩების მიმოხილვა, რომლებშიც გიორგი დარასელიას „ჰაპოელმა“ მისივე გოლების წყალობით იმარჯვა. ადრე ვწერდით, ძუკუს პირველსავე თამაშში ერთადერთი გოლი რომ გაუტანია და მატჩის დამთავრების შემდეგ მოედნიდან ხელში აყვანილი გაუყვანიათ. ეს ისრაელის ჩემპიონატის პირველ ტურში იყო. მეორეში კი... „ჰაპოელმა“ სტუმრად ამავე სახელწოდების კლუბი დაამარცხა ქალაქ ქვარშაბადან, კვლავ 1:0 მოიგო და კვლავ გიორგის გოლით, რომელიც მეორე ტაიმის დაწყებისთანავე, 46-ე წუთზე შეუგდია: მარჯვენა ფლანგზე რამდენიმე მცველი ერთიმეორის მიყოლებით გაუპამპულავებია და საჯარიმოს კუთხიდან მეკარისგან შორეულ კუთხეში ჩაუსვამს ბურთი. ამის შემხედვარე ებრაელები მთლად გადარეულან და იქაური კლუბების მწვრთნელებს თავიანთი ხელმძღვანელებისადმი უკმაყოფილებაც კი გამოუთქვამთ — დარასელია ამისთანა ფეხბურთელი თუ იყო, ჩვენთან თამაშზე როგორ ვერ დაიყაბულეთო. ამათგან ყველაზე მეტს თურმე თელ-ავივის „მაკაბი“ აქტიურობდა, მაგრამ უკვე გვიანია.

„ძუკუს“ თელ-ავივის „ჰაპოელთან“ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, უფრო სწორად, მომავალი წლის 10 ივნისამდე და ამ ვადის გასვლამდე არსადაა წამსვლელი. მიუხედავად, ისე თამაშობს, კლუბის მესურვეებს უთქვამთ, დარასელიას ისეთ პირობებს შევთავაზებთ, ვნახავთ, ჩვენთან თუ არ დარჩებაო. პირობები კი ახლაც კარგი აქვს. მისთვის ხუთსართულიანი სახლის მეხუთე და დაშენებული მეექვსე სართული უბოძებიათ, რომელშიც დღე-დღეზე გადავა. ეგაა, გიორგი ცოლ-შვილს ელოდება, მანამდე კი „გრანდ ბიჩ ოტელში“ ცხოვრობს, სადაც ამგვარი რამ მომხდარა: მეორე თამაშის შემდეგ ნომრის კარი ღია დახვედრია. გაოცებული შესულა ოთახში და მაგიდაზე ნაირ-ნაირი ხილით სავსე კალათა დაუნახავს, ზედ კი წერილი ყოფილა: გიორგი, მოხარულნი ვართ, ჩვენს ქვეყანაში რომ დაიწყე თამაში, ძალიან კარგი ბიჭი ხარ და გისურვებთ, კიდევ ბევრი გოლი გაგეტანოს „ჰაპოელის“ სასარგებლოდო. მინაწერი? — სასტუმროს ადმინისტრაცია.

დარასელიას შესახებ „ჰაპოელის“ მთავარ მწვრთნელს უთქვამს, გასულ ჩემპიონატში საუკეთესო „ბეითარის“ ერთ-ერთი ბრაზილიელი ფეხბურთელი იყო, წლევანდელში კი, ეჭვიც არ მეპარება, დარასელია იქნებაო. იქაური სპეციალისტების აზრით, ძუკუ მართლაც ყველასგან გამორჩეულია. ორივე თამაშში შეიდბალიანი შეფასება დაუმსახურებია და საქმე იქამდეც კი მისულა, ადგილობრივი ფეხბურთის ჩინოვნიკები მოქალაქეობასაც სთავაზობენ, მაგრამ გიორგი კატეგორიულ უარზეა. მოკლედ, ძუკუს თავს დიდი ამბები ხდება: ოთხი-ხუთი კლუბი იხვეწება, ოღონდ ეგ ბიჭი დაგვითმეთ და თანხაზე ლაპარაკიც არ იქნებაო...

თურმე დარასელიას ისე გაუთქვამს ჩვენებურთათვის სახელი, ებრაელები ფოთელ ტორჩინავას და ამაშუკელსაც ეპატიჟებიან, იქ მოთამაშე ქართველთაგან კი აკაკი დევაძე გამოირჩევა, რომელიც ჩვენებურებით დასახლებულ აშდოდის „მაკაბიში“ თამაშობს. ბათუმელ ამირან მუჯირზე კი ის გავიგეთ, რომ ფეთახ-თიკვას „ჰაპოელი“ ერთობ სუსტი გუნდი ყოფილა, თუმცა ჩვენი თანამემამულე აქაც გამოირჩევა და ერთი პენალტის გატანაც მოასწრო.

**ქოგა ინასარიძე**

**მე-2 ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: ჰაპოელი (იერუსალიმი) — მაკაბი (ჰერცლია) 3:2, მაკაბი (ჰაიფა) — ჰაპოელი (აშქელონი) 4:2, ბნეი იეჰუდა — ჰაპოელი (ფეთაჰ-თიკვა) 2:1, ჰაპოელი (ბეითშანი) — ჰაპოელი (ბერშევა) 2:0, მაკაბი (ფეთაჰ-თიკვა) — ირონი (რიშონ ლეციონი) 1:4, ირონი (აშდოდი) — ჰაპოელი (ჰაიფა) 1:0, მაკაბი (თელ ავივი) — ბეითარი 3:3.**

*და კიდევ: იმ კაცმა, ეს ამბავი რომ ჩამოგვიტანა, ხაზმრის მთლის ჯიმიდან... 150 დოლარი ამიღო — გიორგიმ პირველი პრემია აიღო და, ეს ფული „ხარმილის“ გადაეცა, როგორც ხაჯირად ჩათვლიან, ისე გახარჯინო — გვითხრა. მეტი არ გვიფიქრია, უმალ ეს ითქვა: ეს ფული ხლავა მეტრეველს გადაეცემა.*

# სკანდალი №2

## ფედერაციის კარი ისევ ჩაიკეტა...

ბოლო დროს ჩვენს ფეხბურთში დატრიალებული არეულობა გულგრილს ვერავის დატოვებდა. რაც დრო გადის, ვითარება უფრო მწვავდება. ბუნებრივია, გულშემატკივრებს და ყველას, ვისაც ქართული ფეხბურთის ბედი აწუხებს, სიმართლის გაგება სწყურია. გასაგები და გასარჩევი, იცოცხლეთ, ბლომად დაგვიგროვდა. რომელი მხრიდან რა უბედურებას, სანქციებსა თუ ჯარიმებს უნდა ველოდოთ, ჯერ კიდევ არ ვიცით. 15 აგვისტოც ახლოვდება, ეს კი ის თარიღია, როდესაც „დინამომ“ „მრეტების“ მოთხოვნა ან უნდა შეასრულოს, ანდაც... რა მოხდება, ძნელი სათქმელია, მაგრამ კარგს ნაკლებად ველით. ფედერაციისა და ეროვნული გუნდის მოთამაშეთა კონფლიქტიც ხომ თანდათან მასშტაბურ ხასიათს იძენს.

პირდაპირ თუ ირიბად, ყველა სადაო საკითხში ფეხბურთის ფედერაციაა გარეული. ჟურნალისტებიც, ბუნებრივია, იქაური ხელმძღვანელებისგან ველით კომენტარს. გუშინ ფედერაციის პრესცენტრის ხელმძღვანელის ნახვა მოვინდომეთ, მაგრამ კობერიძე სამსახურში ვერ მოვიხელთეთ. პრეზიდენტი, მოგეხსენებათ, ამ ბოლო დროს ავადმყოფობს და თავისი სამუშაო კაბინეტი ეულად დაუტოვებია. ისევ მოვლენების ცენტრში მყოფ ვიცე-პრეზიდენტს, ნოდარ ანდრიაძეს მივაკითხეთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. აქამდე ჟურნალისტებთან გულღიად და თავაზიანად მოსაუბრემ ამჯერად გვითხრა, ამ ბოლო დროს იმდენი ნერვიულობა და დამცირება მხვდა წილად, ისღა დამრჩენია, ჟურნალისტებთან ყოველგვარი ურთიერთობა გავწყვიტოო და ისე გაგვეცალა, ხმის ამოღებაც ველარ მოვასწარით.

**მამუკა ქვანტალიანი**

## ანდრიაძის განცხადებამ „გრასჰოპერის“ მწვრთნელი გააცხარა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის ნოდარ ანდრიაძის სკანდალურ განცხადებას რაც მოჰყვა, ყველას კარგად მოეხსენება. ეს ინფორმაცია „როიტერმაც“ გაავრცელა, რამაც ეროვნული ნაკრების კაპიტნის კახა ცხადაძის თქმით, „ვესტ ჰემში“ მის გადასვლას კინაღამ ხელი შეუშალა, ნემსაძესა და ყაველაშვილსაც „გრასჰოპერში“ პრობლემები შეექმნათო. ამბის დასაზუსტებლად „კალიების“ ქართველებს ციურიხში შევეხმიანეთ.

— პრობლემები იყო მოსალოდნელი, — გვითხრა გია ნემსაძემ, — მაგრამ 6 აგვისტოს „გრასჰოპერში“ პირველი შეხვედრა ჩავატარეთ მე და ყაველამ. მეორე დივიზიონის გუნდს შევხვდით და 3:1 მოვიგეთ. ერთი გოლი მიშას პასით გავიტანეთ და კიდევ კარგი, იმ დღეს თამაში გამოგვივიდა, თორემ ალბათ, საქმე გაგვირთულდებოდა. „როიტერმა“ ანდრიაძის ინფორმაცია რომ გაავრცელა, იმ დღეს ყველა ამ ამბებზე გვეკითხებოდა — მწვრთნელიც და მოთამაშეც. ბუნებრივია, კარგად რომ არ გვეთამაშა, იტყოდნენ, ვინ გვიყიდიაო. პრესაც ასე დაწერდა და ჩვენი კარიერაც აქ დამთავრდებოდა. ახლა ცოტა დავმშვიდდით. სხვათა შორის, იმ საკონტროლო შეხვედრის შემდეგ მწვრთნელი ხუმრობდა, თუ ნაკრებში არ გამოგიძახებენ, ჩვენთვის მით უკეთესიო. იმ დღეს მიშამ ბოლომდე ითამაშა, მე 84-ე წუთზე მხარი ვიტკინე და გამომცვალეს. თუმცა, სერიოზული არაფერია. პირველ ოფიციალურ შეხვედრასაც მალე ჩავატარებთ. მწვრთნელმა გვითხრა, პარასკევს, 15 აგვისტოს, ჩემპიონატის მატჩში დაგაყენებთო.

ანდრიაძის განცხადებაზე მიხეილ ყაველაშვილმაც ისაუბრა:

— რაზეა ლაპარაკი, პოლონეთთან მართლაც სამარცხვინოდ წავაგეთ, მაგრამ ყველაფრის მოთამაშეებზე გადაბრალება უგუნურებაა. ფედერაციის ხელმძღვანელობა ხვდება, რომ გულშემატკივარი გაღიზიანებულია ნაკრების წარუმატებლობით, ცდილობს პასუხისმგებლობა თავიდან აიცილოს და მთელი რისხვა ჩვენ დაგვატეხოს თავს. ამბობენ, ლეგიონერები გუნდებში თავს იკლავენ, ნაკრების ბედი კი არ აღარდებთო. ამის თქმა ცილისწამებაა. ჩვენ სამშობლოს სიყვარულს ვერავინ გვასწავლის. ჩვენთვის ნაკრების ფორმით გამოსვლა დიდი ბედნიერებაა. ისე, არ ვნერვიულობ — სიმართლე არ დაიმალება და გამგებიც ყველაფერს გაიგებს.

**მერაბ მამულაშვილი**

## იტალია [illegible]

როგორც შევიტყვეთ, 10 სექტემბერს საქართველოს ნაკრებთან სათამაშოდ იტალიელთა 90-კაციანი დელეგაცია თბილისში 8 სექტემბერს, საღამოს ჩამოფრინდება ჩარტერული რეისით და იმავე დღეს ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშებს. დელეგაციაში 40 ფეხბურთელი იქნება, დანარჩენი — მწვრთნელები და ფედერაციის თანამშრომლები. ისინი სასტუმრო „მეტეხში“ დაბინავდებიან. მატჩი ცხრა საათზე დაიწყება, ხოლო ახალგაზრდული ნაკრებები ექვს საათზე რუსთავში ითამაშებენ. ჯერჯერობით სხვა არაფერია ცნობილი გარდა იმისა, რომ ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები იტალიელებამდე რუსეთელ თანატოლებს გაეჯიბრებიან. მატჩი 20 აგვისტოს შვიდ საათზე დაიწყება ეროვნულ სტადიონზე.



## ბერიშვილით „ოლიმპიაკოსი“ დაინტერესებულა

„სამტრედიიდან“ ბელარუსის ჩემპიონ მოზირის მპკც-ში გადასულმა ლევან ბერიშვილმა უცებ დაიმსახურა მთავარი მწვრთნელის, ყოფილი სპარტაკელი ალექსანდრე ბუბნოვის პატივისცემა, გუნდში მყარად მოიკიდა ფეხი და მალე მოზირელთა ლიდერადაც იქცა. დასტურად ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრებიც იკმარებს, სადაც ბელარუსებმა მოლდოვის „კონსტრუქტორული“ დაამარცხეს (1:1, 3:2). ბერიშვილმა ორივე შეხვედრაში თითო გოლი გაიტანა და მშვენივრადაც ითამაშა. ეს მომავალი მეტოქის დასაზვერად მოზირში ჩასულმა ბერძნული „ოლიმპიაკოსის“ მწვრთნელმაც აღნიშნა, მე დღეს განსაკუთრებით ბერიშვილი მომეწონაო. შეხვედრის შემდეგ მას ბუბნოვთან ქართველის შესაძლო გადასვლაზე ჩამოუგდია სიტყვა.

### I ჯგუფი. I ტური

ზუგდიდი
ცენტრალური
8 აგვისტო

### ოდიში 4:1 მაღაროელი

**ოდიში:** სოლოლაშვილი, ახვლედიანი, ლურსმანაშვილი, ტყემალაძე, ზ. ლაცაბიძე, ებრალიძე (ქურდღულია 84), რევაზიშვილი, ფოლორდავა, კაიდარაშვილი, ნიტაიშვილი, კალანდაძე

**მაღაროელი:** გველესიანი, ასანიძე, იობაშვილი, ჩიკვილაძე (მენაბდიშვილი 59), შუყლაშვილი, აბრამიშვილი, ქაშაკაშვილი, ბუიშვილი, თ. სამხარაძე, ტეფნაძე, მწყერაშვილი

1:0 ნიტაიშვილი (11), 2:0 რევაზიშვილი (32), 3:0 კალანდაძე (55 პ), 3:1 მენაბდიშვილი (60), 4:1 თოლორდავა (74)

**გაფრთხილებები:** ასანიძე, ახვლედიანი

**მსაჯი:** ს. შალამბერიძე (თბილისი)

### მეორე ჯგუფი

პირველ ტურში უცნაური არაფერი მომხდარა. ერთადერთი გადადებული თამაშის მიზეზი, ცოტა არ იყოს, უცნაურია — ხონელებმა ფედერაციაში გუნდის განაცხადი დროულად ვერ მიიტანეს, ამიტომ ფედერაციამ „მეშახტე“ — „იმერეთი“ გაურკვეველი ვადით გადადო.

ჯუბა — სამეგრელო 2:0
ივერია — კოდაკო 2:0
ცხინვალი — იბერია 4:1
მერცხალი — ფაზისი 4:3
ასკ — თორი 0:0
სქური — საპოვნელა 2:0
შსს აკადემია — კოლხეთი 7:1

# რა იუბილე, რის იუბილე...



**1997 წელი** რუსთავისთვის საიუბილეოა — ქალაქს დაარსებიდან 50 წელი უსრულდება. ამიტომაც გასული სეზონის ბოლოს რუსთაველები რომ აცხადებდნენ, მომდევნო ჩემპიონატში ძლიერი გუნდი გვეყოლება და ევროთასებისთვის ვიბრძოლებთო, გადაჭარბებულად სულაც არ მომჩვენებია. დიახ, ოღონდ წელს პირველ ჯგუფში ადგილი შევვინარჩუნებინა, მერე კი ნახავთ, როგორი გუნდი იქნება „მეტალურგიო“, ამბობდნენ და, რაღა დაგიმალოთ, დავიჯერე. დავიჯერე კი არა, მეც ავლაპარაკდი, მეცხრე ჩემპიონატში საევროპო ადგილებისთვის დავიდარაბა ატყდება-მეთქი.

თქვენც არ მომიკვდეთ. აგერ, ჩემპიონატიც დაიწყო, რუსთავიდან კი ჯერჯერობით ცუდის მეტი არაფერი ისმის. რა იუბილე, რის იუბილე?! ერთი საფეხბურთო გუნდის შენახვა რაა, ამისთვისაც ვერ მოუბამთ ბოლომდე თავი. თუმცა, იქნებ ადრეა ამაზე საუბარი, „მეტალურგისთვის“ ხომ ჯერაც არ დაწყებულა ჩემპიონატი. პირველად მხოლოდ 18-ში თამაშობს, აქამდე კი მთელი ხუთი (!) დღეა.

წინა „სარბიელში“ ვწერდით, „სინათლეზე“ „მერანი“ — „გურიას“ მატჩი უინტერესო რომ გამოდგა. ტაიმნახევარი, ჰა და ჰა, ვითმინე, კოლეგებთან საუბარს გადავაყოლე გული, მერე კი „მეტალურგის“ მთავარ მწვრთნელს გიგლა იმნაძეს გვერდით მივუჯექი. ვიფიქრე, მოედანზე საინტერესო არაფერი ხდება, ამ კაცს გამოველაპარაკები, იქნებ „მეტალურგზე“ მაინც გავიგო ახალი ამბები-მეთქი, მაგრამ მწვრთნელმა, რუსთაველთა მიზანი ჯგუფში ადგილის შენარჩუნება, ათეულში მოხვედრა კი გმირობის ტოლფასი იქნებაო, რომ მითხრა, გაკვირვებულმა კითხვა შევუბრუნე — კი მაგრამ, გასულ სეზონში თქვენი ხელმძღვანელები, კარგი გუნდის გაკეთებას ვაპირებთ და აუცილებლად საპრიზო ადგილებისთვის ვიბრძოლებთო, რომ ამბობდნენ, ლაპარაკი ლაპარაკად დარჩა? იმნაძემ, დაპირებებზე ვერაფერს გეტყვი, დღეისათვის კი გუნდში ისეთივე მდგომარეობაა, წინა სეზონში რომ იყო. საქმეს კარგი პირი არც ახლა უჩანს, გუნდი ისეა დაკომპლექტებული, როგორც ვთქვი, ათეულში თუ მოვხვდით, მიღწევად ჩავთვლით, ასე რომ, არა მგონია, უკეთეს შედეგს მივაღწიოთო, მითხრა და ესაც დამატა — ისე, არ არის გამორიცხული, რუსთავში მართლაც შეიქმნას ნორმალური გუნდი. მართალია, ფინანსურად მთლად კარგად ვერ გვაქვს საქმე, მაგრამ ქალაქის მერია დიდ ყურადღებას გვაქცევსო. თურმე რუსთავის მერიას „მეტალურგის“ თამაშებზე დასასწრები აბონემენტები დაუბეჭდავს და წარმოება-დაწესებულებებში გაუყიდია. აქედან შემოსული თანხის ნაწილით სტადიონის გარემონტებას აპირებენ, ნაწილი კი კლუბს მოხმარდება. გარდა ამისა, ფეხბურთის ფედერაციამ რუსთაველებს ბურთები უფეშქაშა. მოკლედ, მერიამ საფეხბურთო კლუბი მთლად უყურადღებოდ არ დატოვა. იქნებ, მართლაც ეშველოს რამე „მეტალურგს“. კარგად მოგეხსენებათ, ქალაქისთვის ერთი გუნდის შენახვა მაინცდამაინც დიდ პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს — მთავარია, საამისო სურვილი ჰქონდეთ.

ვარჯიშით „მეტალურგი“ ისევ გარდაბნის სტადიონზე ვარჯიშობს და იქვე ემზადება ჯერაც დაუწყებელი სეზონისთვის. ეს რომ გიგლა იმნაძემ თქვა, გასული სეზონის მეორე წრის დასაწყისში გარდაბანში ჩემი სტუმრობის ამბავი გამახსენდა. მაშინ „მეტალურგი“ ამხანაგურად „კახეთს“ ეთამაშებოდა. მეორე დღეს დავწერე კიდეც, ამათი საკონტროლო მატჩი უკონტროლოს უფრო ჰგავდა-მეთქი. არადა, მართლაც ასე იყო. იმ სტადიონზე ფეხბურთის თამაშის გარდა ყველაფერი შეიძლება, „მეტალურგი“ კი სწორედ ისეთ მოედანზე ვარჯიშობს, ბალახზე მეტი ქვა-ღორღი რომაა. დარში მოედანზე ისეთი მტვერია, ფეხბურთელები ერთმანეთს ძლივს არჩევენ, ავდარში კი ბიჭებს ფეხები ტალახისგან ისე უმძიმდებათ, სირბილი კი არა, სიარულიც უჭირთო. ძნელია არ დაეთანხმო იმნაძეს, თანაც მაშინ, ყველაფერი საკუთარი თვალით რომ გვაქვს ნანახი. მიუხედავად ასეთი საევარჯიშო პირობებისა, ფეხბურთელები მონდომებულები არიან: რა სახალისო ასეთი მოედანზე წვრთაა, მაგრამ მაინც ხალისით ვარჯიშობენ. რამდენიმე ახალი ფეხბურთელიც დაუმატებიათ — ზესტაფონიდან წამოსული ლონდაძე, გურიელიძე, გაბრიჭიძე და კიდევ რამდენიმე ადგილობრივი ახალგაზრდა. თუმცა, ესენი არავის დაუპატიჟია, „მეტალურგს“ საამისო საშუალება არ გააჩნია — ამ ფეხბურთელებს თავად გამოუთქვამთ რუსთაველთა გუნდში თამაშის სურვილი. გუნდი კი დაუტოვებიათ ლანჩხუთში დაბრუნებულ ბერიძეს და პატარიძეს, რომლის ასავალ-დასავალი ჯერჯერობით უცნობია — ამბობენ, თსუ-ში ვარჯიშობსო.

ამასობაში ის მომქანცველი 15-20 წუთიც გაილია, „მერანი“ — „გურიას“ მატჩის დამთავრებამდე რომ დარჩენილიყო. გიგლა იმნაძეს ეს ვუთხარი, გურულებს, ეტყობა, არც ამ სეზონში დაადგათ საშველი-მეთქი. მან კი — „გურია“ ყველა სეზონს წარმატებით იწყებდა, შარშან და შარშანწინაც პირველ წრეში იმდენი ქულა დავაგროვეთ, ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად რომ გვეყოფნიდაო. თბილისელებთან გურულების ასეთ წაგებას კი, თურმე, იმნაძე ნამდვილად არ ელოდა — ალბათ ამათაც ცუდად აქვთ საქმეო — ისეთი ტონით მითხრა, რომ მასთან საუბრის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. ან კი რაღაზე უნდა გვესაუბრა?...

**ქოგა ინასარიძე**

Cup Winners' Cup

## ბათუმი — არარატი

ბათუმი. სტადიონი „დინამო". 14 აგვისტო

# სომხები ხვალ ჩამოვლენ

ხვალ, დაახლოებით ოთხი საათისთვის, ერევნის „არარატი" ჩარტერული რეისით ბათუმში ჩამოფრინდება თასების მფლობელთა თასის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩის ჩასატარებლად. სომხები სასტუმრო „სპუტნიკში" დაბინავდებიან და ხვალვე შვიდი საათისთვის ბათუმის სტადიონზე ივარჯიშებენ. სტუმართა 30-კაციან დელეგაციაში ფეხბურთელები და კლუბის ხელმძღვანელები იქნებიან. „არარატი" ინტენსიურად ემზადება „ბათუმთან" შესახვედრად და გამარჯვების იმედიც აქვთ. მათი ყველა ფეხბურთელი ჯანზეა, ტრავმირებული არავინ ჰყავთ. ბათუმშიც სრული შემადგენლობით ჩამოვლენ. 7 აგვისტოს „არარატმა" ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი 1:1 ითამაშა გიუმრის „შირაქთან" სტუმრად. გოლი 65-ე წუთზე ნაზარიანს გაუტანია. ამ შეხვედრაში ბათუმელთა მეტოქე ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: არუთ აბრამიანი, აივაზიანი, გსპეიანი, ასოიანი, ოვაქერიანი, გალუსტიანი, ამირიანი, ტერ-პეტროსიანი, ბინარიანი, ნაზარიანი და ვიგენ აბრამიანი. შეცვლებზე კი ბაბაიანი, გასპარიანი და იგოიანი შესულან. მოკლედ სულ ეს არის, რაც „არარატზე" შევიტყვეთ, დანარჩენს ხუთშაბათის და შაბათის „სარბიელში" იხილავთ.

# სად ითამაშებს შეყილაძე?

ქათქათა ქალაქი უზღვოდ წარმოგიდგენიათ? რა თქმა უნდა, არა. ისევე როგორც ბოლო წლების „ბათუმი" მუდამ საბრძოლველად შემართული გელა შეყილაძის გარეშე. არადა, სავსებით შესაძლებელია, გელამ „არარატთან" შეხვედრის შემდეგ გუნდი დატოვოს. თუმცა, ჯერ კიდევ გაურკვეველ მდგომარეობაშია. „ბათუმიდან" რამდენიმე წამყვანი მოთამაშე უკვე წავიდა და გელაც უცხოურ გუნდში აპირებს გადასვლას. ამის გამო ზღვისპირელებთან კონტრაქტი აღარ გაუგრძელებია და არც საჩემპიონატო განაცხადში ირიცხება.

— ყალბ სიტყვებად არ ჩამითვალოთ, ახლა ფულზე და ხელფასზე კი არა, კარგ გუნდში გადასვლაზე ვფიქრობ, მაგრამ მე ნაკრების კანდიდატი ვარ და ამის გამო გუნდი ჩემში საკმაოდ სოლიდურ საკომპენსაციო თანხას ითხოვს. მეც ვცდილობ, ისეთი კონტრაქტი გავაფორმო, „ბათუმმაც" რომ იხეიროს. თუმცა, ჩემში გადასახდელ თანხას თუ გაანახევრებენ, საქმე გაცილებით გამიადვილდება. ამის მიუხედავად, 14 აგვისტოს „არარატთან" მაინც ვითამაშებ. ხელმძღვანელობას სიტყვა მივეცი და დალალატება არ გამოვა. იქნებ ისინიც კომპრომისზე წავიდნენ და დააჩქარონ ჩემით დაინტერესებულ გუნდებთან მოლაპარაკება.

**— რომელ გუნდებზეა საუბარი?**

— ყველაზე რეალურად, როგორც შუამავალმა მითხრა, ერთ-ერთი თურქული გუნდი ყოფილა დაინტერესებული, თუმცა, მის სახელს ჯერ არ მიმხელს. რომელსაც გუნდის წარმომადგენელთან უთქვამს, „ბათუმის" დატოვებას რამდენიმე მოთამაშე აპირებსო, თურქს უმალ უკითხავს, თუ ამათში შეყილაძეც არის, ჩვენ მას შევიძენთო. დამიჯერეთ, მე ზღაპრულ ხელფასსა და ოქროს მთებზე არ ვოცნებობ. მხოლოდ ელემენტარული პირობები მსურს, მარტო ფეხბურთზე რომ ვიფიქრო და ისეთ დონეს მივაღწიო, ნაკრებში ფეხი მოვიკიდო. „ბათუმიდან" სწორედ ამიტომ ვაპირებ გადასვლას.

დღეს ჩვენს მოთამაშეებს აუარებელი ყოველდღიური საზრუნავი აქვთ. სხვას რომ თავი დავანებოთ, ნორმალური სავარჯიშო მოედანიც არ გაგვაჩნია. წელს შეკრებაც არ გაგვივლია. ასე წარმატებას როგორ მივაღწევთ? ეს ყოველივე გუნდის მომზადებასაც დაეტყო. ჩემთვის სულერთი არ არის, ვითამაშებ თუ არა ნაკრებში, მაგრამ ნორმალური მომზადების გარეშე ვინ გამომიძახებს? ეს წარმოუდგენელია, მით უფრო, რომ ნაკრებში მოსახვედრად დიდი კონკურენციაა. არ მინდა, ისე გამიგოთ, თითქოს უცხოეთში წასვლის მოლოდინში გულხელდაკრეფილი ვიჯდე. არა, გუნდთან ერთად ვემზადები და ინდივიდუალურადაც ვვარჯიშობ, მაგრამ შემეძლო, უკეთეს ფორმაში ვყოფილიყავი. არადა, წინ „არარატთან" მნიშვნელოვანი შეხვედრა გველის და გვინდა ღირსეულად ვითამაშოთ.

**— იქნებ შარშანდელი „ბათუმი" წლევანდელს შეადარო...**

— შედარება არ შეიძლება. შარშან გაცილებით ძლიერნი ვიყავით. ტულუში, მუჯირი და უჯმაჯურიძე წავიდნენ და ამით დიდი ძალა დაგვაკლდა. მართალია, შემცვლელად ნიჭიერი ახალგაზრდობა მოდის, მაგრამ იმ სამეულის დონეს სანამ მიაღწევენ, გვარიანი დროც გავა.



გელა გასამგზავრებლად მზად არის

**— ყველაფრის მიუხედავად, როგორ ფიქრობ, „ბათუმს" სამეულში მოხვედრა შეუძლია?**

— საამისოდ წლევანდელ შემადგენლობას შარშანდელზე გაცილებით დიდი თავდადება დასჭირდება. ახალ სეზონში სამეულისთვის რამდენიმე მოღონიერებული გუნდი იბრძოლებს, მათთან გამკლავება კი ურთულესი საქმე იქნება.

შარშან მართლაც კარგი გუნდი შეიკრა. ჩემპიონობისთვის ბრძოლასაც ვაპირებდით, მაგრამ ბევრი დასანანი ქულა დავკარგეთ, თავი იჩინა პრობლემებმა და ბოლოს სამეულში მოხვედრაც სათუო გაგვიხდა.

**— რომელ პრობლემას გულისხმობ?**

— ხელფასი და პრემიები თავის დროზე არ გვეძლეოდა, ეს კი თითოეულ ჩვენგანს აწუხებდა — ჩვენც ხომ ოჯახები გვყავს, მათ რჩენა უნდათ, ფული არ გვქონდა და ფეხბურთზე იმდენს არ ვფიქრობდით, რამდენიც პროფესიონალს მოეთხოვება. „ბათუმის" არასტაბილურობას სწორედ ამით ავხსნი.

ძლიერ მეტოქეებთან კიდევ ვახერხებდით მობილიზაციას, აუტსაიდერებთან კი ეს მეტად გვიჭირდა. წასულ საქმეზე უხერხულია საუბარი, მაგრამ დამერწმუნეთ, შარშან „ბათუმს" ფინანსური პრობლემები რომ არ ჰქონოდა, ჩვენ უკეთეს ფეხბურთსაც ვაჩვენებდით და უფრო მაღალ ადგილსაც დავიკავებდით.

რა თქმა უნდა, გუნდის ხელმძღვანელობა მოგვიანებით ვალებს გვისტუმრებდა, მაგრამ... ჩვენ ჩვენი დაგვემართა.

**— უცხოურ გუნდში გადასვლას რომ ლამობ, მენეჯერი თუ გყავს?**

— ჯერ არა. დღევანდელი მოთამაშისთვის საკუთარი მენეჯერი აუცილებელია. რამდენიმე კანდიდატურა არის, რომელიმეზე შევაჩერებ არჩევანს.

...ვსხედვართ, ვსაუბრობთ და აშკარად ვგრძნობ, რომ გელა მოუსვენრადაა. თვალებმა მაინც გათქვეს. ეს რომ ვუთხარი, პირველად მაშინ გაიღიმა:

— მშვიდად მართლაც არა ვარ, 27 წლის ვსრულდები და მომავალი მადარდებს. სულ იმაზე ვფიქრობ, არასწორი ნაბიჯი არ გადავდგა. ეს ჩემს ასაკში მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა. თუ ვერსად გადავედი, რამ ვიზამ, დავრჩები „ბათუმში" და როგორი გულითაც ვემსახურებოდი გუნდს, ისევე გავაგრძელებ. ბოლოს და ბოლოს, საქართველოს პირველობაზე თამაში სასირცხვოდ არ მიმაჩნია, მე ხომ ფეხი სწორედ აქ ავიდგი, მაგრამ, უფრო ძლიერ გუნდში გადასვლა მსურს და მგონი, არც გამემტყუნება.

**მერაბ მამულაშვილი**

---

**პორტუგალიის** ჩემპიონი ჟორჟე კოშტა თანაკლუბელ პოლონელ გჟეგოჟ მილჩარსკისთან ვარჯიშზე შეჯახებისას დაშავდა. „პორტუს" ექიმმა მარიო ბეკამ საფუძვლიანი გამოკვლევის მერე დაადგინა, რომ მცველი მუხლის ტრავმის გამო დაახლოებით ექვსი კვირა ვეღარ ითამაშებს.

**არგენტინის ჩემპიონობა შეინარჩუნა „რივერ პლეიტმა". ბოლო მატჩში ურუგვაელი ენცო ფრანჩესკოლის ორი გოლის წყალობით ბუენოს-აირესელებმა „ველეზ სარსფილდი" სძლიეს. ერთადერთმა კლუბმა, „რივერ პლეიტის" დაწევა რომ შეეძლო, „ნიუელს ოლდ ბოისმა" „ფეროკარილ ოესტესთან" 1:4 წააგო. ფრანჩესკოლის იმ თამაშში ჰეთ-თრიქის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ ურუგვაელს ცნობილმა ხოსე ლუის შილავერმა პენალტი აუღო.**

**იაპონიის** ჯეი-ლიგის ჩემპიონატის მეორე ეტაპზე ბრწყინვალედ თამაშობს „კაშიმა ანთლერსი", რომელმაც დაუმარცხებელი სერია ამჯერად „ნაგოია გრამპუს ეითის" 7:0 ძლევით გააგრძელა. გამარჯვებულთაგან ორი გოლი ბრაზილიელმა მაზინიომ შეაგდო. ამ გამარჯვებით „კაშიმა ანთლერსი" წამოეწია გათამაშების ლიდერს, ყველა მატჩის მომგებ „ჯუბილო ივატას", რომელმაც ამჯერად „ოსაკა" სძლია 4:1. „იოკოჰამა მარინოსმა" 7:2 მოუგო „კავასაკის". გამარჯვებულთაგან ოთხი გოლი ესპანელმა ხულიო სალინასმა გაიტანა. „იოკოჰამა ფლუგელსმა" „ვისელ კოუბს" სძლია 3:2, მისი ბრაზილიელი ფორვარდი ვალბერი კი ბომბარდირთა დავაში თანამემამულე ედილსონს წამოეწია. ახლა ამათ 17-17 გოლი აქვთ გატანილი.

**ბულგარეთის მეორე ტური. სპარტაკი პლევენი — ლევსკი 2:5, ლოკომოტივი სოფია — ლევსკი კუსტენდილი 4:2, ოლიმპიკი — ნეფტოხიმიკი 3:1, დობრუჯა — მეტალურგი 1:0, მინიორი — სპარტაკი ვარნა 2:1, ეტარი — ლიტექსი 1:3, სლავია — ცსკა 2:3, ბოტევი — ლოკომოტივი პლოვდივი 1:0. ორი ტურის მერე 6 ქულით ლიდერობენ ცსკა, ლევსკი და ლიტექსი.**

**პოლონეთის** პირველი ტური. ამიცა — ოდრა 3:0, გროცლინი — ვიძევი 0:3, სტომილი — რუხი 3:0, პოგონი — პოლონია 1:0, ლკს — ზაგლებიე 1:0, ოსტროვიეცი — ლეხი 0:0, გკს — ვისლა 4:0, ლეგია — გურნიკი 4:0.

**რუმინეთის მესამე ტური. ფორესტა — პეტროლული 1:0, უნივერსიტატეა კრაიოვა — ხინდია 4:0, რაპიდი — არჯეში 1:2, ოცელული — უნივერსიტატეა კლუჟი 3:0, ჟიული — სტიაუა 0:2, ნაციონალი — გლორია 2:0, რესიტა — სპორტული 2:1, ბაკაუ — ფარული 1:0, დინამო — ჩახლაული 2:0. სამი ტურის მერე ცხრა ქულით ლიდერობენ ოცელული, ნაციონალი, სტიაუა და არჯეში.**

**უნგრეთის** მეოთხე ტური. ფერენცვაროში — ჰალადაში 2:1, უიპეშტი — ვაცი 2:2, ბეკეშჩაბა — შტადლერი 1:0, ტიზაკეჩკე — გაზერი 1:1, ზტე — მტკ 0:1, კიშპეშტი — შიოფოკი 2:0, ვიდეოტონი — ბვსც 1:1, დებრეცენი — ვაშაში 1:2. ოთხი ტურის მერე 12 ქულით მტკ ლიდერობს.

**იუგოსლავიის პირველი ტური. ჩუკარიჩკი — ობილიჩი 0:1, პროლეტერი — რადი 2:2, ზემუნი — ცრვენა ზვეზდა 0:1, პარტიზანი — ბუდუჩნოსტი 6:0, ვოივოდინა — ჰაიდუკი 3:1, ზელეზნიკი — მლადოსტი 0:1.**

**ბელგიის** პირველი ტური. ჰარელბეკი — ლომელი 1:1, ვესტერლო — სენტ ტრიუდენი 4:1, ბევერენი — აალსტი 0:0, ეკერენი — მოლენბეკი 3:1, ლიერსი — ლოკერენი 3:0, გენკი — შარლერუა 4:0, გენტი — ბრიუგე 0:4, სტანდარდი — მუსკრონი 1:1. ანტვერპენი — ანდერლეხტი წუხელ გაიმართა.

**ჩეხეთის მეორე ტური. ჩესკე ბუდეიოვიცე — იაბლონეცი 0:1, ვიქტორია (ჟიჟკოვი) — სპარტა 0:1, სლოვანი (ლიბერეცი) — ბობი 1:0, დუკლა — ტეპლიცე 2:2, ბანიკი — პეტრა 2:0, ვიქტორია (პლზენი) — სიგმა 2:0, სლავია — კაუჩუკი 3:2, ლაჟნე — ჰრადეცი 0:1. ორი ტურის მერე 6 ქულით ლიდერობენ ბანიკი და სპარტა.**

**სლოვაკეთის** მეორე ტური. დუკლა (ბანსკა ბისტრიცა) — ინტერი 1:0, არტმედია — სპარტაკი (ტრნავა) 0:1, დუნაისკა სტრედა — რუზომბეროკი 1:1, ბარდეიოვო — ქილინა 0:0, ტრენჩინი — ხემლონი 4:1, სლოვანი — ტატრანი 2:0, კოშიცე — ტაურისი 2:2, პეტრიმექსი — ლოკომოტივა 3:2. 6 ქულით ლიდერობენ სლოვანი და სპარტაკი.

### ფეხბურთის რუკასთან



**სლოვენიის მეორე ტური. ბელტინჩი — რუდარი 3:1, კოროტანი — ვევჩე 1:0, ოლიმპია — მურა 3:1, გორიცა — პრიმორიე 1:0, პუბლიკუმი — მარიბორი 2:1. 6 ქულით ლიდერობენ გორიცა, კოროტანი და პუბლიკუმი.**

**ხორვატიის** მეორე ტური. ოსიეკი — ჰაიდუკი 1:0, ვარტექსი — კროაცია 2:6, ზაგრები — რიეკა 2:2, სლავენი — ზადარკომერცი 2:1, მლადოსტ 127 — შამობორი 1:1, შიბენიკი — დრაგოვილიაცი 1:0. 6 ქულით ლიდერობენ კროაცია და ოსიეკი.

**უკრაინის მეექვსე ტური. დინამო — ვორკსლა 4:1, კრივბასი — დნეპრი 0:2, შახტიორი — ცსკა 2:1, ტორპედო — კარპატი 0:2, ზირკა-ნიბასი — ჩერნომორეცი 2:3, ტავრია — მეტალურგი (დონეცკი) 2:2, ნივა — მეტალურგი (ზაპოროჟიე) 1:2, მეტალურგი (მარიუპოლი) — პრიკარპატიე 0:3. 15 ქულით ლიდერობენ დინამო და შახტიორი.**

**ნორვეგიელმა** ოლე გუნარ სოლსკიაერმა „მანჩესტერ იუნაიტედთან" შვიდი წლით გაიხანგრძლივა კონტრაქტი. ახლა 24 წლის ვიკინგი „ოლდ ტრეფორდზე" 2004 წლამდე დარჩება. შარშან „მოლდედან" 2 მილიონ 300 ათას დოლარად შეძენილმა ოლემ პრემიერლიგაში 18 გოლის გატანა მოასწრო. „სიმართლე გითხრათ, მიხარია. კონტრაქტის დამთავრებისას მხოლოდ 31 წლის ვიქნები. ეს შესანიშნავია" — განაცხადა სოლსკიაერმა. გუშინ კი „მანჩესტერ იუნაიტედში" კიდევ ერთი ნორვეგიელი, ჰენინგ ბერგი გადავიდა. იგი შარშან „ბლექბერნში" თამაშობდა. ნაკრებში 44-ჯერ, ხოლო პრემიერლიგაში 154-ჯერ ნათამაშევი ფეხბურთელი ჩემპიონებს 7 მილიონ 400 ათასი დოლარი დაუჯდათ.

**ლატვიის მეთხუთმეტე ტური. დაუგავა — ლოკომოტივე 5:1, მეტალურგსი — უნივერსიტატე 1:2, ვალმიერა — ვენტსპილსი 2:1, დინაბურგი — სკონტო 0:0. 36 ქულით ლიდერობს სკონტო.**

**ლიტვის** პირველი ტური. ვილკასი — ლოკომოტივას-ვილბანა 2:0, ინკარასი — ინტერას-აე 3:0, ეკრანასი — ბანგა 2:1, პანერისი — მასტისი 7:1, ატლანტასი — რანგა-პოლიტექნიკა 3:1, კარედა — ვიენიბე 8:1, კაუნასი — ტაურასი 5:1, ჟალგირისი — ნევეჟისი 1:0.

**იტალიაში დაგეგმილი ამხანაგური მატჩი ჩაიშალა არაბთა გაერთიანებული საამიროების ნაკრების. ავსტრიაში შეკრებაზე მყოფ არაბებს იტალიის მესაზღვრეებმა პასპორტში ვიზის უქონლობის გამო აპენინებზე შესვლაზე უარი განუცხადეს, რითაც, ცხადია, შეხვედრა ჩაიშალა.**

**ბრაზილიის** ნაკრები სეულში სამხრეთ კორეასთან სამარცხვინო მარცხს რონალდომ და სონი ანდერსონმა გადაარჩინეს. 66 წლის ზაგალოს ბიჭები თავიდან 0:2 იგებდნენ, მაგრამ რონალდოს პენალტით და ანდერსონის ბოლო წამებზე გატანილი გოლით სამხრეთამერიკელებმა ფრე გაახერხეს. ზაგალომ თამაში ანდერსონის გარდა ჟუნინიოსაც მოუწონა. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონები აზიური ტურნეს შემდეგ შეხვედრას 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე მასპინძელ იაპონიასთან გამართავენ.

**ალბანეთის ძლივს განახლებული ჩემპიონატი კინაღამ კვლავ ჩაიშალა. ლიდერების — „ფლამურტარისა" და „ტირანას" შეხვედრაში მსაჯის მიკერძოებულობით აღშფოთებულმა „ფლამურტარის" ფეხბურთელებმა პროტესტის ნიშნად მოედანი დატოვეს. თამაშს „ტირანა" იგებდა 1:0 და მატჩის დასრულებამდე 30 წუთი რჩებოდა. დაჩაგრულთა გაგულისებულმა ფანებმა ნერვები ვეღარ მოთოკეს და გზად შემხვედრი მაღაზიების ვიტრინები და მანქანების შუშები სულ ნამსხვრევებად აქციეს. ჩაშლილ მატჩს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. „ფლამურტარის" ფეხბურთელის ილირ ალიუს თქმით, მსაჯის არაკაცურმა საქციელმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ადგილობრივი გუნდის საქციელი გამართლებას ცდილობს, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა განაცხადა, ეს ჩვენს ფეხბურთს ჩირქს სცხებსო. მსაჯი გუნდებს მოუწოდა, იმ ჩაშლილი მატჩის დარჩენილი 30 წუთი ეთამაშა, მაგრამ ფლამურტარელებმა უარი სტკიცეს.**

**შოტლანდიის** ლიგის თასის გათამაშების მეორე წრეში გლაზგოს „სელტიკმა" 7:0 მოუგო მესამე დივიზიონელ „ბერვიკს".

**მალავის ნაკრებმა ლილონგვეში „კარსაფა კესტლის" თასის გათამაშების მორიგ მატჩში ტანზანიას უმასპინძლა და 2:2 ითამაშა. ამ შეჯიბრებაში აფრიკის კონტინენტის უკიდურესი სამხრეთით მდებარე ქვეყნები მონაწილეობენ.**

**დანიის** საუკეთესო ფეხბურთელს, ბრიან ლაუდრუპს წითელა შეჰყრია და, სავარაუდოდ, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე შვედეთის „გიოტებორგთან" პირველ შეხვედრას გამოტოვებს. თავად ლაუდრუპმა განაცხადა, ხუთშაბათს თავი შეუძლოდ ვიგრძენი, მეგონა, მალე გამივლიდა, მაგრამ გამოძახებული ექიმისგან გავიგე, რომ წითელა მქონიაო.

**ინგლისის „ტოტენჰემ ჰოთსპურის" მწვრთნელმა ჯერი ფრენსისმა კიდევ ერთი ახალი მოთამაშე, პორტუგალიელი ჟოზე დომინგუში შეიძინა. ინგლისელებს გარემარბის ყიდვა 2 მილიონ 700 ათასი დოლარი დაუჯდათ. დომინგუშს ინგლისში ადრეც უთამაშია, კერძოდ — „ბირმინგემ სიტიში".**

**გერმანიის** „კიოლნმა" აზიის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული ხოდადად აზიზი შეიძინა. გერმანელებმა 25 წლის ირანელის შესაძენად გაღებული თანხა არ დაასახელეს, მაგრამ გერმანული პრესის აზრით, იგი დაახლოებით 2 მილიონი დოლარია.

**ჰოლანდიის პირველი ლიგის კლუბ „ტელისტარის" ოთხმა მოთამაშემ — ბენიტო კუმანმა, რეიინგომ, დეივ კისტენმა და ორფეო ნოკმა, რომელნიც საწვრთნელი ბაზიდან მოშორებით მანქანაში იმყოფებოდნენ, 15 წლის გოგოს ნამუსი ახადეს, რასაც მათი გუნდიდან გაგდება მოჰყვა. დაზარალებულს პოლიციაში სარჩელი არ შეუტანია, ამიტომ მათ წინააღმდეგ სამართალდამცველებს საქმე არ აღუძრავთ.**

**საფრანგეთის** პსჟ-ს მეკარე ბერნარ ლამა მადრიდს ჩავიდა, სადაც იქაური „რეალის" პრეზიდენტ ლორენსო სანს უნდა შეხვდეს ესპანეთში გადასვლის თაობაზე სასაუბროდ. პსჟ-მ ლამას გაშვებაზე თანხმობა განაცხადა, თავად მეკარე კი იმიტომ ჩქარობს, რომ 15 აგვისტოს ჩემპიონთა ლიგაში მონაწილე გუნდებისთვის ფეხბურთელთა რეგისტრაციის ვადები იწურება.

**ინგლისის „ლივერპულმა" ნახევარმცველ ჯონ ბარნსს განუცხადა ჩვენგან თავისუფალი ხარ, სადაც გინდა, იქ წადიო. ბარნსმა 10 წელი გაატარა ამ კლუბში, თავის დროზე პრემიერლიგა ორჯერ მოიგო, თასის და ლიგის თასისთვისაც გაუსინჯავს გემო, ახლა კი უამრავი ლეგიონერის გამო 33 წლისას ძირითადში მოხვედრა უჭირს.**

**კოსტა-რიკის** ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შეხვედრაზე სან-ხოსეში სალვადორის გუნდს უმასპინძლა და ფრედ 0:0 ითამაშა. მასპინძელთა გაისად საფრანგეთში წასვლის შანსები შემცირდა, თუმცა გამორიცხული არაფერია. ზემოთნახსენებ ორ გუნდთან ერთად ამ შესარჩევ ჯგუფში მექსიკა, კანადა, აშშ და იამაიკაც ასპარეზობს.

**ჰოლანდიის „ეინდჰოვენმა" დანიური „ბრონდბიუდან" მილიონ 700 ათას დოლარად ფორვარდი პიტერ მიოლერი შეიძინა. დანიის ახალდაწყებულ ჩემპიონატში მიოლერმა სამ მატჩში შეგდებული 5 გოლით ჰოლანდიელთა ყურადღება მიიპყრო და მალე კონტრაქტიც გაფორმდა.**

**ავსტრალიის** ფეხბურთის ასოციაციას ფიფამ უბრძანა, „სიდნეი იუნაიტედი" უმაღლესი ჯგუფიდან მოკვეთოს. ფიფას რისხვის მიზეზი მწვანე კონტინენტის უმაღლესი კლუბის ერთ-ერთი მატჩის დროს სტადიონზე გულშემატკივართა არეულობა ყოფილა. „სიდნეი იუნაიტედმა" ქვეყნის ფეხბურთის თავკაცთ შეწყალება სთხოვა, რითაც ფიფა კიდევ უფრო ალაშფოთა.

# ინგლისი

I ტური.

## ნიუკასლი 2:1 შეფილდ უენსდეი

**ნიუკასლი:** გივენი, უოტსონი, პისტონე, ალბერი, პირსი, ბერესფორდი, ბეტი, ლი, ქეცბაია, ტომასონი, ასპრილია
**შეფილდი:** პრესმენი, აზერტონი, სტეფანოვიჩი, უოქერი, ნოლანი, ბლონდლო, პემბრიჯი, დონალდსონი (დი კანიო 62), კარბონი, ჰაიდი (კოლინზი 58), უიტინგემი (ბოოგი 77)
**გოლი:** 1:0, 2:1 ასპრილია (2, 72), 1:1 კარბონი (8)

თითქმის სამთვიანი შესვენების შემდეგ დაიწყო პრემიერლიგის მორიგი სეზონი, რომელსაც ქართველი გულშემატკივარიც ელოდა — ერთწლიანი შესვენების შემდეგ ქართველი კვლავ დაუბრუნდა პრემიერლიგას. სასიხარულოა, რომ ჩვენი თანამემამულე თემურ ქეცბაია ამჯერად ლიგის მაჩანჩალა გუნდში კი არა, ჩემპიონობისთვის მებრძოლ კლუბში გადავიდა. სეზონის წინ „ნიუკასლის“ მწვრთნელი კენი დალგლიში ამბობდა, გვეყო ვიცე-ჩემპიონობა, დროა, ოქროსაც გავუსინჯოთ გემოო. „ნიუკასლმა“ პრემიერლიგაში გასამარჯვებლად თადარიგი ადრევე დაიჭირა, რამდენიმე ერთობ გამოცდილი მობურთალით გაძლიერდა და პირველი თამაშიც შესანიშნავად ჩაატარა. ცხადია, ქეცბაიამაც ითამაშა, თუმცა, მოვლენებს რიგის მიხედვით მივყვეთ.



ასპრილიამ წყვილი გოლით დაიწყო

სეზონის პირველ თამაშს „სენტ ჯეიმსიზ პარკი“ გაჭედილი შეხვდა. საყვარელმა გუნდმაც მაყურებელი არ გააწბილა და მასსავით იერშეცვლილ „შეფილდს“ რისხვა პირველ წამებშივე დაატეხა თავს. უკვე 50-ე წამზე (!) ტომასონს ასპრილიამ ხელსაყრელი მომენტი შეუქმნა, თუმცა დანიელმა ვერ იხეირა. წუთი არ იყო გასული, ასპრილიამ ბელგიელი ალბერის ზუსტი პასი მიიღო და შორეულ კუთხეში წლევანდელი პრემიერლიგის უსწრაფესი გოლი გაიტანა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ სტუმრები განადგურდებოდნენ, მაგრამ „ნიუკასლის“ შეტევებს იტალიელმა ბენიტო კარბონიმ ისეთი გოლით უპასუხა, სტადიონი გაირინდა — მიიღო თანაგუნდელისგან პასი აპენინელმა და ულამაზესი მალაყით ტურის უბრწყინვალესი გოლი შეაგდო. პირველ ნახევარში, მიუხედავად საყაიმო ანგარიშისა, მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო. პრესმენი შავ-თეთრების დარტყმების მოგერიებას ვერ აუდიოდა, ის კი არა, მეკარეს ერთი-ორჯერ უოქერი და ნოლანი რომ არ მიშველებოდნენ, საქმე ცუდად წაუვიდოდათ. შესვენების შემდეგ „ნიუკასლმა“ კვლავაც დიდი უპირატესობა მოიპოვა და მალე „სტატუს ქვოც“ აღადგინა, თუმცა მანამდე ტომასონმა ქეცბაიას დროული პასის შემდეგ ერთობ ხელსაყრელ მომენტში ვერ ივარგა. ამას ასპრილიას მცირედით აცილებული თაური მოჰყვა, მალე კი კოლუმბიელმა იხეირა: თავის ნახევარზე მყოფმა თუმურმა, როგორც კი თანაგუნდელისგან პასი მიიღო, ცენტრი გადასერა. მისი გამჭოლი გადაცემის შემდეგ ტომასონმა ბურთი ოსტატურად დაუტოვა ფაუსტინოს და კოლუმბიელმაც თანაგუნდელები გაახარა. ანგარიშის გასაყამებლად ან გასაზრდელად დრო საკმაო იყო, მაგრამ არაფერი შეცვლილა. ერთადერთი ის მოხდა, რომ დონალდსონის ნაცვლად იტალიელი დი კანიოს გამოჩენისთანავე მოედანზე მყოფ არაბრიტანელთა რაოდენობა ათამდე გაიზარდა. სულ ბოლოს კი ქეცბაიას დარტყმული პრესმენმა გაჭირვებით მოიგერია.

კენი დალგლიშმა, თავისი ბიჭების ქებას რომ მორჩა, ხუმრობით განაცხადა, ერთი გივენით ვარ უკმაყოფილო, პრესმენს მხოლოდ მან არ დაურტყაო.

## ქოვენთრი 3:2 ჩელსი

**ქოვენთრი:** ოგრიზოვიჩი, შოუ, ბაროუზი, ვილემსი, ბრინი (ბოლენდი 80), ტელფერი, მაკალისტერი, სალაკო, სოლტვედტი, დაბლინი, ჰაკერბი (ლაითბერნი 71)
**ჩელსი:** დე გუი, პეტრესკუ, ლე სო, ლებეფი, კლარკი, პოიეტი, სინკლერი, დი მატეო (მორისი 80), ჰიუზი (ფლო 68), ძოლა, უაიზი
**გოლი:** 0:1 სინკლერი (39), 1:1 დაბლინი (41), 1:2 ფლო (71), 2:2, 3:2 დაბლინი (82, 88)

„ჩელსი“ ფავორიტად კი ითვლებოდა, მაგრამ მასპინძლებმა, უფრო უპრიანი იქნება თუ ვიტყვით, დიონ დაბლინმა სტუმრები ციდან მიწაზე დააბრუნა. არა, იმის თქმა, რომ ლონდონელებმა სუსტად ითამაშეს, სისულელე იქნება. უბრალოდ, რამდენჯერაც ახტა დაბლინი, დე გუიმ იმდენი გოლი გაუშვა. არადა, პირველ ნახევარ საათში ვეტერანი ოგრიზოვიჩის კარი სამჯერ პეტრესკუს, ხოლო თითოჯერ ძოლას და სინკლერის დარტყმებს გადაურჩა. ამდენ შეტევას გოლი არ მოჰყოლოდა, შეუძლებელი იყო და მალე სინკლერმა მარცხენათი ანგარიში გახსნა, გოლისგან გამოწვეული სიხარული კი მეტად უცნაურად — ტრუსის ჩახდით და აქეთ-იქით სირბილით აღნიშნა. სტუმრებს ხეირიანად არც კი ეხარათ, როცა დაბლინი „ჩელსის“ ინტერნაციონალურ დაცვაზე ამაღლდა და გაუყაიმა. დარჩენილ ოთხ წუთში გუსტავო პოიეტმა ოგრიზოვიჩს ორჯერ გამოავლენინა ოსტატობა. ისე, გულიტმა სატრანსფერო სეზონში ახალი ფეხბურთელების შეძენას 20 მილიონი დოლარი მოახმარა, შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე გუსტავო პოიეტში კი პენსიც არ გადაუხდია.

მეორე ნახევარი პირველის დარად წარიმართა. „ჩელსი“ კვლავ აქტიურობდა, მასპინძლები კი მეტად სასიკეთო კონტრშეტევებით პასუხობდნენ. მალე გულიტმა გადაღლილი მარკ ჰიუზის ნაცვლად ახოვანი ნორვეგიელი ტორე ანდრე ფლო შეუშვა და ამანაც სამ წუთში დებიუტი გოლით აღნიშნა — დი მატეოს პასის შემდეგ მისი თაური უზადო იყო. „ქოვენთრიმ“ ახლაც მალე გააყაიმა — დაბლინმა კვლავ აჯობა მცველებს და დე გუისაც სადებიუტო მატჩში მეორედ გამოატანინა ბურთი კარიდან. გაყაიმებას „ჩელსის“ გაავება მოჰყვა, მაგრამ ერთ მომენტში ძოლამ მეტად ხეირიანი პოზიციიდან რომ ვერ ივაჟკაცა, ამოქმედდა ფეხბურთის დაუწერელი კანონი — ვერ გაიტან, გაგიტანენ და მართლაც, დაბლინმა მესამედაც იხეირა, რითაც წლევანდელ სეზონში პირველი ჰეთ-თრიქის ავტორიც შეიქნა. მატჩის მერე გულიტმა განაცხადა, ჩვენ მომენტების გოლად ქცევა უნდა ვისწავლოთო. „კონკრეტულად ვერავის გამოვყოფ, მთელი გუნდი დამნაშავეა“ — განაცხადა რუუდმა.

## ლიდსი 1:1 არსენალი

**ლიდსი:** მარტინი, კელი, რობერტსონი, რადებე, უეზეროლი, უოლესი, ჰოლი, ბოუერი, ჰოფკინი (ჰაალანდი 83), რიბეირო (კეველი 82), ჯიმი
**არსენალი:** სიმენი, უინთერბერნი, ბოულდი, პარლოუ, პეტი, გარდე, გრიმანდი, ვიეირა (პლატი 63), რაიტი, ბერხკამპი, ოვერმარსი (ჰიუზი 75)
**გოლი:** 0:1 რაიტი (35), 1:1 ჯიმი (42)

მატჩის დასაწყისში მოედანზე მყოფი 22 ფეხბურთელიდან მხოლოდ რვა იყო ინგლისელი. სტუმართა გუნდი ხომ ლამისაა ინგლისში ფრანგი ფეხბურთელების ბანაკად იქცეს — მწვრთნელ არსენ ვენგერის ჩათვლით, ლონდონელთა რიგებში იმ დღეს ხუთი ფრანგი იყო — ვიეირა, პეტი, გარდე, გრიმანდი და თავად ვენგერი. და კიდევ — იმ დღეს „ლიდსის“ მწვრთნელის ჯორჯ გრემის ყოფილი და ახლანდელი კლუბი დაპირისპირდნენ.

თუ ტაიმებს შევადარებთ, პირველთან მეორის ხსენება, შესაძლოა, მკრეხელობაც იყოს. პირველი წუთებიდანვე გულშემატკივრებმა სხარტი თამაში იხილეს. გუნდები შეტევაშიც კარგად თამაშობდნენ და დაცვაშიც ფრიად ირჯებოდნენ. მოკლედ, ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ. პირველი რეალური სახიფათო მომენტი მაინც მარტინის კართან შეიქმნა: ვერცხლისწყალივით მოუსვენარი რაიტი მეურვე უეზეროლს დაუსხლტა და ანგარიშის გახსნამდე სულ ცოტა დააკლდა. ამას ოვერმარსის ფლანგური გარღვევა და საჯარიმოში ჩაკიდება მოჰყვა, თუმცა იქ რადებემ ივაჟკაცა. ამ ხნის განმავლობაში ლიდსელები უქმად არ ყოფილან, პირიქით, ჯიმიმ და რიბეირომ სიმენს ბლომად ოფლი აღვრევინეს, ერთხელ კი ინგლისის ნაკრების კარის დარაჯმა, ჯიმის დარტყმული რომ მოეგერიებინა, მთელი თავისი ოსტატობა გამოავლინა. ვისაც „ლიდსის“ ეს თავდამსხმელი ეცნო, შევახსენებ, რომ იგი სწორედ ის ჯიმია, „ბოავიშტას“ შემადგენლობაში პორტუში „დინამოს“ დაქცევაში ლომის წილი რომ დაიდო. მან თავისას აქაც მიაღწია და სადებიუტო მატჩში გოლი გაიტანა, თუმცა მანამდე რაიტმა იხეირა და აი, როგორ — ფლანგიდან შეჭრილმა ერთი მეტოქე ჩამოიშორა, მერე კი მარცხენა მარჯვედ მოიქნია და ანგარიშიც გახსნა. მასპინძლებს დიდხანს არ უგლოვიათ: ზოიძის კარის ორჯერ ამღებმა ჯიმიმ არც სიმენი დაინდო და გააყაიმა კიდეც. ეს პირველ ტაიმს შეეხებოდა, მეორე კი ისეთი უინტერესო გამოდგა, მასზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ. მატჩის შემდეგ ყაიმით უკმაყოფილო ვენგერი ამბობდა, ადამსი და კიოუნი მაკლდა, თორემ „ლიდსს“ სეირს ვაჩვენებდიო.

## ტოტენჰემი 0:2 მანჩესტერი

**ტოტენჰემი:** უოქერი, ედინბურგი, ბოულსი, ნილსენი, კარი, ვეგა, ივერსენი, კემპბელი, კლემენსი (სინტონი 75), ჟინოლა, ფერდინანდი
**მანჩესტერი:** შმაიხელი, ირვინი, იონსენი, პალისტერი, ბათი, ფ. ნევილი, კინი, სქოულზი (ბექემი 66), კრუიფი, გიგსი, შერინგემი
**გოლი:** 0:1 ბათი (82), 0:2 ვეგა (83, საკ. კარში)

სანამ თამაშზე ვიტყოდეთ ორიოდ სიტყვას, მანამდე იმ დაპირისპირებაზე ვთქვათ, „უაით ჰართ ლეინზე“ მისული გულშემატკივრებისა და „ალისფერებში“ გადასულ ექს-ტოტენჰემელ ტედი შერინგემს შორის რომ წარმოიშვა. როცა „იუნაიტედი“ მინდორზე გავიდა, მასპინძელთა გულშემატკივრებმა ტედის დანახვისას „იუდა, იუდას“ ყვირილით იქაურობა გააყრუეს.

...დასაწყისში მეტოქეებმა ერთმანეთი დაზვერეს. ისინი უფრო საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ფიქრობდნენ, ვიდრე გოლის გატანაზე, ამიტომაც იყო, რომ რეალური სახიფათო მომენტები იშვიათად იქმნებოდა. თან ლონდონელებმა — კემპბელმა და „ლივერპულის“ ცნობილი მეკარის, რეი კლემენსის ვაჟმა სტეფანმა ტრავმირებული კოულის ნაცვლად მოთამაშე კრუიფსა და რაინ გიგზს ფეხი არ გაანძრევინეს.

მატჩის განახლებას სიტუაციის შეცვლა არ მოჰყოლია. პირიქით, თამაში უფრო მდარე და მოსაწყენი გახდა. ჟინოლა ფლანგზე კვლავ თავისის გატანას ცდილობდა. ზოგჯერ გამოსდიოდა კიდეც, მაგრამ მისი საჯარიმოში ჩაკიდებით ხან ფერდინანდი, ხანაც ივერსენი ვერ ხეირობდნენ. მალე ფერგიუსონმა მოედანზე დევიდ ბექემი შეუშვა. ამან „მანჩესტერის“ შეტევებს სიმწვავე შემატა. თამაში შედარებით საინტერესო გახდა და ბოლო ათ წუთში ჩემპიონთა მცირერიცხოვანმა ფანებმაც გაიხარეს. ჯერ იყო და ბათმა იხეირა, მერე კი, წუთიც არ იყო გასული, შვეიცარიელმა რამონ ვეგამ გიგზის დარტყმული უნებლიედ ჩაჭრა საკუთარ კარში. მოკლედ, მატჩის ბედი ამ 78 წამში გატანილმა ორმა გოლმა გადაწყვიტა.

## უიმბლდონი 1:1 ლივერპული

**უიმბლდონი:** სალივანი, კანინგემი, კიმბლი, ჯოუნზი (კასტლედვინი 78), ბლექველი, ერლი, ეკოკუ, ჰოლდსუორსი (ჰიუზი 60), გეილი (კლარკი 67), პერი, ერდლი
**ლივერპული:** ჯეიმსი, ჯოუნსი (მაკატირი 82), რაიტი, ბები, რადოკი (ჰარკნესი 23), ტომასი, ოუენი, ბიორნებიუ (მერფი 67), ინსი, მაკმანამანი, რიდლე
**გოლი:** 1:0 გეილი (55), 1:1 ოუენი (71 პ)

მაისში გამართული ამ გუნდების ბოლო მატჩი „უიმბლდონის“ გამარჯვებით — 2:1 დასრულდა. იმ შეხვედრაში დასამარდა „ლივერპულის“ საჩემპიონო იმედები და იმ მატჩში პრემიერლიგის დებიუტანტმა მაიკლ ოუენმა დებიუტი გოლით აღნიშნა. „ლივერპულის“ გოლი ამჯერადაც ოუენს ეკუთვნის, ოღონდ არა როგორც დებიუტანტს, არამედ წითლების ძირითად მოთამაშეს. სწორედ ამ 18 წლის ყმაწვილის ძალისხმევით გააყაიმა „ლივერპულმა“, რომელსაც ამჯერად პოლ ინსი კაპიტნობდა. სხვა მრავალი უცხოელის დარად პრემიერლიგაში დებიუტი ჰქონდა კარლ-ჰაინც რიდლესაც. სწორედ მისი წაქცევისთვის დაინიშნა პენალტი მასპინძელთა კარში.

## ევერტონი 1:2 კრისტალ პალასი

**ევერტონი:** საუთჰოლი, უოტსონი, ბილიჩი, სტიუარტი, ფერგიუსონი, ტომსენი (ბარმბი 64), ფერელი, ოსტერი (შორტი 87), ტომასი (ბრენჩი 46), სპიდი, ფლანი
**კრისტალ პალასი:** მილერი, ედვორტი, გორდონი, რობერტსი, ტეტლი, ლინიგენი, მუსკეტი, უორჰერსტი (ფალერტონი 77), დეიერი (შიპერლი 81), როჯერი, ლომბარდო (ვეარტი 81)
**გოლი:** 0:1 ლომბარდო (36), 0:2 დეიერი (77 პ), 1:2 ფერგიუსონი (85)

სტუმრებმა პრემიერლიგაში დაბრუნება მოგებით რომ აღნიშნეს, მთლიანად ატილიო ლომბარდოს დამსახურებაა. ეს ქაჩალი იტალიელი ისე დარბოდა აღმა-დაღმა, გეგონება, პრემიერლიგაში აქვს ჭიპი მოჭრილიო. მისი სირბილი ფუჭი სულაც არ ყოფილა: პირველ ტაიმში ატილიომ თავად იხეირა, მეორეში კი მისი წაქცევისთვის დანიშნული პენალტი „კრისტალ პალასის“ საუკეთესო ბომბარდირმა დეიერმა გამოიყენა.

## ლესტერი 1:0 ასტონ ვილა

**ლესტერი:** კელერი, კამარკი, ჯაპი, პრაიორი, უოლში, იზეტი, ლენონი, კემპბელი (სევიჯი 83), მარშალი (კლერიჯი 88), ელიოტი, ჰესკი
**ასტონ ვილა:** ოუქსი, ნელსონი, რაიტი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, ტეილორი, დრეპერი, თაუნსენდი, მილოშევიჩი, იორკი, კოლიმორი
**გოლი:** 1:0 მარშალი (37)

სტენ კოლიმორი შეჰმა კამარკმა, რომ იტყვიან, სუფთად ამოკეტა.

## ბლეკბერნი 1:0 დერბი ქაუნთი

**ბლეკბერნი:** ფილანი, კენა, ჰენდრი (პირსი 75), რიპლი (ანდერსონი 89), გალაჰერი, სატონი (დალინი 75), ვილკოქსი, ფლიტკროფტი, მაკკინლი, ვალერი, ენჩოსი
**დერბი:** პოომი, ხ. პაუელი, შტიმაცი, ვან დერ ლაანი (დ. პაუელი 78), სიმპსონი (უორდი 46), ლაურსენი, კარბონი (ბარტონი 46), კეროლი, ერანიო, დეილი, ჰანტი
**გოლი:** 1:0 გალაჰერი (20)

ინგლისის 1995 წლის ჩემპიონებმა გამარჯვება როი ჰოჯსონს მიუძღვნეს, რომელიც იმ დღეს 50 წლისა გახდა. უბედნიერესმა გუნდის თავკაცმა მატჩის მერე განაცხადა, მარტო შედეგმა კი არა, გუნდის კარგმა თამაშმაც გამახარაო.

## საუთჰემპტონი 0:1 ბოლტონი

**საუთჰემპტონი:** ჯოუნსი, ოუკლი, ტოდი, მონკუ, დრაიდენი, სლეიტერი (ვან გობელი 88), მედისონი, ევანსი (იოჰანსენი 71), ოსტენსტადი, უილიამსი (დევისი 71)
**ბოლტონი:** ბრენეგენი, კოქსი, ელიოტი, ფრანდსენი, ტაგარტი, ბერგრონი, პოლოკი, სელაიხი, ბლეიქი, მაკგონლი, ტომსონი
**გოლი:** 0:1 ბლეიქი (43)

საკვირველია, როგორ ვერ იმარჯვა „ბოლტონმა“ დიდი ანგარიშით. მათი თავდასხმის წყვილმა — ნათან ბლეიქი-ჯონ მაკგინლი — მეტოქის დაცვა აწამა და ალბათ, კიდევ ბევრს გააწვალებს.

## ბარნსლი 1:2 ვესტ ჰემი

**ბარნსლი:** უოტსონი, ეიდენი, მოუზისი, დე ზიუ, ჰენდრი, რედფერნი, უილკინსონი (ხრისტოვი 68), ბალოქი (ლიდელი 84), შირტლიფი (მარსელე 62), თინქლერი, ბერნარდი
**ვესტ ჰემი:** მიკლოშკო, ბრეიქერი (ლაზარიდისი 46), პოტსი, რიპერი, კიტსონი (ტრეიე 84), ჰართსონი, ლომასი, ფერდინანდი, მონკური, ჰიუზი, ბერკოვიჩი (ლამპარდი 76)
**გოლი:** 1:0 რედფერნი (9), 1:1 ჰართსონი (53), 1:2 ლამპარდი (76)

110 წელი ელოდა „ბარნსლი“, სანამ პრემიერლიგაში თამაშის უფლებას მიიღებდა. თამაშის წინ ქალაქში დიდი ზეიმი იყო, რედფერნის გოლმა ხომ სულ ცაში აიყვანა მასპინძლები, მაგრამ მერე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და ობიექტურად ძლიერმა იმარჯვა: ჯერ იყო და ჰართსონის გოლი ახალგაზრდა მეკარე უოტსონის შეცდომით გავიდა, მერე კი გოლამდე ათი წამის (!) წინ შესულმა ფრენკ ლამპარდმა ივაჟკაცა. სხვათა შორის, იგი 1981 წელს თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ ნათამაშევი ფრენკ ლამპარდის ვაჟია.

**ფუხელ**

მეორე ტურის მატჩში „არსენალმა“ იან რაიტის ორი გოლით (29, 47) შინ „ქოვენთრი“ დაამარცხა.

# პირველი დივიზიონი

## სიტი 2:2 პორტსმუთი

**სიტი:** მარგეტსონი, ბრაითველი, უეგენი, ვიკენსი, საიმონსი, ბისლი (სამერბი 46), ბრენნი, ჰორლოკი, ბრედბერი, ქინქლაძე, როსლერი (დიკოვი 78)
**გოლი:** 0:1 ალოიზი (5), 1:1 როსლერი (16), 2:1 ვიკენსი (55), 2:2 ჰოლი (80)

მანჩესტერელებს ახალი სეზონში გზა ცნობილი როკ-ჯგუფის „ოაზისის“ ლიდერებმა — ნოელ და ლიემ გალაჰერებმა დაულოცეს, მაგრამ მიუხედავად ასეთი პატივისა, ქართველის გუნდმა ქულის მეტი ვერ მოიპოვა. ის კი არა, ავსტრალიელი ფორვარდის ჯონ ალოიზის გოლის შემდეგ აგებდა კიდეც. სხვათა შორის, ალოიზი „პორტსმუთს“ იტალიური „კრემონეზედან“ შეუერთდა. რაც შეეხება ქინქლაძეს, ამჯერად ჩვეული ფინტებით და გარღვევებით „მეინ როუდზე“ შეკრებილი ფანები დიდად ვერ ახარა.

**ლაშა გოდუაძე**

დივიზიონის სხვა შედეგები: ვესტ ბრომვიჩი — ტრანმერი 2:1, სვინდონი — კრუ 2:0, ქუინზ პარკი — იფსვიჩი 0:0, პორტ ვეილი — ნოტინგემი 0:1, ოქსფორდი — ჰადერსფილდი 2:0, ნორვიჩი — ვულვერჰემპტონი 0:2, მიდლსბრო — ჩარლტონი 2:1, ბარი — რედინგი 1:1, ბრედფორდი — სტოკპორტი 2:1, ბირმინგემი — სტოკ სიტი 2:0, შეფილდ იუნაიტედი — სანდერლენდი 2:0.

# რეალ-აიაქს შეიბნენ

ზუსტად ერთ კვირაში, მომავალ სამშაბათს, შოთა არველაძის „აიაქსი“ ჰოლანდიის ახალი ჩემპიონატის პირველ მატჩში „ვიტესს“ უმასპინძლებს, მანამდე კი ამსტერდამელები ესპანეთს ესტუმრნენ და ორი საწვრთნელი მატჩი გამართეს. გუშინწინ მალაგაში „აიაქსმა“ 1:2 წააგო ესპანეთის ჩემპიონ „რეალთან“. 39-ე წუთზე ანგარიში მადრიდელთა ხორვატმა ბომბარდირმა შუკერმა გახსნა, თუმცა ოთხ წუთში სტუმართა პორტუგალიელმა დანიმ წონასწორობა აღადგინა. მეორე ტაიმში, 60-ე წუთზე ამავისკამ კვლავ დააწინაურა „რეალი“ და ეს ანგარიში აღარ შეცვლილა, თუმცა შოთა არველაძეს ბოლო წუთებში უფრო ზუსტად რომ დაერტყა, „აიაქსი“ აღარ წააგებდა.

ამ თამაშამდე ორი დღით ადრე, პარასკევს, ჰოლანდიელებმა მეორე დივიზიონელი „ლეჩე“ 5:0 გაანადგურეს. ბურთები დანიმ (ორი), მაკკარტიმ, ლაუდრუპმა და ვიჩხემ გაიტანეს. ბოლო საკონტროლო მატჩს „აიაქსი“ პარასკევს ჩაატარებს, მისი მეტოქე ბრაზილიური „გრემიო“ იქნება.

# რუსეთი

22-ე ტური: როსტსელმაში — დინამო 1:3, ტიუმენი — ნიჟნი ნოვგოროდი 2:1, ლოკომოტივი — ფაკელი 2:0, კრილია სოვეტოვი — როტორი 1:2, ზენიტი — ჟემჩუჟინა 2:0, ცსკა — შინიკი 0:0, კამაზი — ტორპედო 1:3, ბალტიკა — ალანია 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როტორი | 22 | 13 | 4 | 5 | 41:21 | 43 |
| დინამო | 22 | 12 | 7 | 3 | 27:12 | 43 |
| სპარტაკი | 21 | 12 | 5 | 4 | 32:14 | 41 |
| ტორპედო | 22 | 11 | 4 | 7 | 35:25 | 37 |
| ლოკომოტივი | 22 | 9 | 9 | 4 | 28:19 | 36 |
| ალანია | 22 | 10 | 3 | 9 | 36:25 | 33 |
| ჩერნომორეცი | 21 | 8 | 8 | 5 | 23:20 | 32 |
| როსტსელმაში | 22 | 7 | 10 | 5 | 23:18 | 31 |
| ბალტიკა | 22 | 6 | 12 | 4 | 23:17 | 30 |
| ჟემჩუჟინა | 22 | 8 | 5 | 9 | 21:26 | 29 |
| ზენიტი | 22 | 7 | 8 | 7 | 13:17 | 29 |
| კრილია | 22 | 7 | 6 | 9 | 17:20 | 27 |
| შინიკი | 22 | 6 | 9 | 7 | 17:25 | 27 |
| ცსკა | 22 | 6 | 6 | 10 | 18:29 | 24 |
| ტიუმენი | 22 | 6 | 5 | 11 | 18:27 | 23 |
| კამაზი | 22 | 6 | 1 | 15 | 25:47 | 19 |
| ნ. ნოვგოროდი | 22 | 5 | 3 | 14 | 16:35 | 18 |
| ფაკელი | 22 | 4 | 3 | 15 | 12:27 | 15 |

# ნორვეგია

მე-19 ტური. მოლდე — ლილესტრიომი 1:1, ვიკინგი — ბრანი 0:0, სკეიდი — ტრომსო 0:4, სტრომსგოდსეტი — კონგსვინგერი 8:0, ბოდო გლიმტი — სოგნდალი 1:0, რუსენბორგი — ლინი 5:1, სტაბეკი — ჰაუგესუნდი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 19 | 13 | 5 | 1 | 59:12 | 44 |
| მოლდე | 19 | 11 | 4 | 4 | 31:23 | 37 |
| სტრომსგოდ. | 19 | 11 | 1 | 7 | 41:31 | 34 |
| სტაბეკი | 18 | 10 | 3 | 5 | 24:20 | 33 |
| ბრანი | 19 | 9 | 4 | 6 | 34:24 | 31 |
| ვიკინგი | 19 | 7 | 8 | 4 | 33:22 | 29 |
| ბოდო გლიმტი | 19 | 8 | 3 | 8 | 28:24 | 27 |
| ტრომსო | 19 | 6 | 8 | 5 | 27:24 | 26 |
| კონგსვინგერი | 18 | 6 | 5 | 7 | 24:35 | 23 |
| ლილესტიომი | 19 | 6 | 4 | 9 | 25:34 | 22 |
| ჰაუგესუნდი | 19 | 6 | 3 | 10 | 19:26 | 21 |
| სოგნდალი | 19 | 4 | 3 | 12 | 19:44 | 15 |
| სკეიდი | 19 | 3 | 4 | 12 | 25:49 | 13 |
| ლინი | 19 | 2 | 5 | 12 | 19:40 | 11 |

# თურქეთი

მე-2 ტური. ტრაბზონი — ვანსფორი 2:0; შექერსფორი — დარდანელი 1:4; სამსუნი — ფენერბაჰჩე 0:2; ისთანბული — ქარაბუქი 2:1; გალათასარაი — ბურსა 4:0; ალთაი — ქოჯაელი 1:0; ქაისერი — ანკარაგიუჯუ 1:1; გენჩლერბირლიგი — ბეშიქთაში 2:2; გაზიანთეფი — ანთალია 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრაბზონი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ფენერბაჰჩე | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| გალათასარაი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:0 | 4 |
| დარდანელი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| ანთალია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ბეშიქთაში | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ისთანბული | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ქარაბუქი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| სამსუნი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ალთაი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ბურსა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:4 | 3 |
| გენჩლერბირ. | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ანკარაგიუჯუ | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ქაისერი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| გაზიანთეფი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| ქოჯაელი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| შექერსფორი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |
| ვანსფორი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

## საფრანგეთი

II ტური

**ბასტია 1:0 გინგამი**
1:0 სილიაკი (81 პ)

**მონაკო 2:2 შატორუ**
1:0 ნდორამი (40), 1:1, 1:2 მარტელი (55, 64), 2:2 კარნო (67)

**კანი 0:1 ტულუზი**
0:1 სენტინი (87)

**მეცი 4:1 ბორდო**
1:0 ტოიე (13), 1:1 ლასლანდესი (48), 2:1, 3:1 როდრიგესი (64, 84), 4:1 საჰა (90)

**მარსელი 1:0 ნანტი**
1:0 ბლანი (41)

**ლე ავრი 4:0 მონპელიე**
1:0 სოლო (19), 2:0 დორასო (29), 3:0 პეჟე (70), 4:0 სემსონი (72)

**სტრასბური 2:1 ლანსი**
0:1 ვეირელსი (61), 1:1, 2:1 ზიტელი (69, 81)


მონაკო — შატორუ. გაუჭირდა გუნდს და გაუჭირდა ალი ბენარბიასაც (მარჯვნივ), ვისაც სტუმარი ვერშერი მისდევს

REUTERS მონაკოდან

ზედიზედ ორი ტურია, თასთა თასის მომგები ლორან ბლანი „მარსელში“ ბრწყინავს. წინა ტურში ორჯერ იხეირა, ახლაც სწორედ მისი გოლით იმარჯვა „მარსელმა“, თავად ლორანი კი შედეგიანობით ჯერჯერობით თავდამსხმელებს სჯაბნის.

მარსელის „ველოდრომი“ თითქმის გაჭედილი იყო. გულშემატკივრები დაძაბუნებული „ნანტის“ ძლევას მოითხოვდნენ, რაც სულაც არ იყო შეუძლებელი. თამაში სწორედ ისეთი გამოდგა, მასპინძლებს რომ სურდათ, მაგრამ 41-ე წუთამდე სტუმრების კარის ბადეს მხოლოდ ნიავი არხევდა, თუმცა... შესვენებამდე ოთხი წუთით ადრე ექსბარსელონელმა ბლანმა საჯარიმო ბრწყინვალედ დაარტყა და მეტოქის კარის ახალგაზრდა დარაჯი მიშელ ლენდრო დაამწუხრა. გოლი, როგორც მერე აღმოჩნდა, გადამწყვეტი იყო. „ახლა ქულათა მაქსიმუმით ვლიდერობთ. მწამს, „მარსელი“ აღორძინდება. ჩვენ აქ სწორედ ამიტომ ვართ. სრულყოფილებამდე ბევრი გვიკლია, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერი მოვა“ — განაცხადა ბლანმა.

მარსელელთა დარად, ორივე შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაასრულა „მეცმა“, მაგრამ თუ პირველ ტურში მან „ლიონს“ სძლია, ახლა გაცილებით ძლიერი „ბორდო“ იმსხვერპლა და თანაც როგორ! საბოლოო ანგარიში სტუმართათვის სამარცხვინო გამოდგა. არადა, დასაწყისი მათთვის ავს არ მოასწავებდა. თამაში ჩვეულებრივი გამოდგა. ჟოფრეი ტოიემ თვისტომნი კი დააწინაურა, მაგრამ „ბორდომ“ ორი მეტად ხელსაყრელი მომენტი გააცუდა. მეორე ტაიმი ხეირიანად დაწყებული არ იყო, სტუმართა მრისხანე ფორვარდმა ლასლანდესმა თავით რომ გაიტანა და გააყაიმა. დაახლოებით 15 წუთში როდრიგესმა კარში დარტყმით თანაგუნდელები ახარა. მალე იმავე როდრიგესმა „დუბლიც“ შეასრულა, არბიტრის წამატებულ დროში კი სტუმრების წამებას საჰამ დაუსვა წერტილი. განადგურებულთა თავკაცმა გი სტეფანიმ გაოცება ვერ დამალა — „მეცის“ შესაძლებლობებს ჯეროვნად ვაფასებდი, მაგრამ ჩემი გუნდი თუ ასეთი სუსტი იყო, არ მეგონაო.

მიუხედავად „ბორდოს“ მარცხისა, ტურის ყველაზე დიდი მოულოდნელობა ის იყო, რომ „მონაკომ“ „შატორუს“ ვერ სძლია. გაზაფხულის და შემოდგომის „მონაკოს“ შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. ეს მარტო უამრავი ფეხბურთელის მისვლა-მოსვლით არაა გამოწვეული. უბრალოდ, ჟან ტიგანას ბიჭები ძველებურად ველარ აგორებენ ბურთს. თუმცა, თუ მწვრთნელს ვენდობით, მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგება, ჯერ კი... ჯერ „მონაკო“ წელსალზევევებულებს ვერ უგებს. ეგ კი არა, ერთი ხანობა აგებდა კიდეც. თავიდან „ნანტიდან“ შეძენილმა ჩადელმა ფორვარდმა იაფეტ ნდორამმა კარნოს კედელი გაუთამაშა და ჩემპიონები წინ გაიყვანა, მაგრამ მეორე ტაიმში ახალბედების თავდამსხმელმა მარტელმა ყველასთვის მოულოდნელად სტუმრები დააწინაურა. მასპინძლები სირცხვილისგან კარნომ იხსნა. საინტერესოა, რომ მეორე ტაიმის მიწურულს სტუმრებმა ძირითადი მეკარე ფრედერიკ ჟუგენი სათადარიგოთი შეცვალეს — საწყალს კარნოს უძლიერესი დარტყმული სახეში მოხვედრია. „გასვლაზე „მონაკოს“ 2:2 ეთამაშო, ეს შესანიშნავია. ასეთ შედეგს ნაღდად არ ველოდი“ — ეს სიტყვები სტუმართა მწვრთნელის ვიქტორ ზვანკას ეკუთვნის. მისი გაცილებით ცნობილი კოლეგა ჟან ტიგანა სახემოღუშული ამბობდა — „პარი სენ ჟერმენს“ და „მარსელს“ ჩვენზე წინ რომ ვაყენებ, ხომ არ გგონიათ, ვხუმრობ: ჩვენ ხშირად ვცდებოდით. რომ წაგვეგო, საშინელება სულაც არ იქნებოდა — ისინი უფრო მეტ მომენტებს ქმნიდნენ, ვიდრე ჩვენ“.

ბრწყინვალედ თამაშობს მეორე ალზევებული „ტულუზი“. ამან, „ბასტიას“ დარად, მეორეჯერაც 1:0 იმარჯვა და ლიდერთა ხუთეულში გაწევრიანდა.

**ლაშა გოდუაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეცი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| პსჟ | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| მარსელი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ტულუზი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| ბასტია | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| სტრასბური | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ლე ავრი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| ლანსი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ლიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 3 |
| გინგამი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ბორდო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| მონაკო | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| შატორუ | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| მონპელიე | 2 | 0 | 1 | 1 | 1:5 | 1 |
| ნანტი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| კანი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| ოსერი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |
| რენი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

## რას იზამ ჩეზარე?

1995 წლის 29 იანვარს იტალიაში სერია A-ს მორიგი ტური გაიმართა. ერთ-ერთი მატჩი, „ჯენოა“ — „მილანი“, მასპინძელთა 19 წლის გულშემატკივრის, ვინჩენცო სპანიოლოსთვის საბედისწერო აღმოჩნდა — მეტოქე გულშემატკივართა დაპირისპირებისას იგი მილანელი ტიფოზის ბასრმა დანამ იმსხვერპლა. ამ შემთხვევის გამო მორიგი ტური მოგვიანებით ჩატარდა. დალუპულსაც დიდი პატივი სცეს. ეგ კი არა, მისი სახელობის ტურნირიც დაწესდა, რომელიც აგერ უკვე მესამედ გაიმართა და ბოლოჟამს მოდაში შემოსული ერთდღიანი სამთა ტურნირის სახით წარიმართა. სამმა მონაწილემ თითო 45-წუთიანი მატჩი გამართა. წლევანდელ გათამაშებაში, მასპინძელ „ჯენოას“ გარდა, რომელიც მუდამ მონაწილეობს ამ ტურნირში, „ფიორენტინამ“ და „ბოლონიამ“ ითამაშეს. გამარჯვება „ბოლონიას“ დარჩა, ტურნირის საუკეთესო მოთამაშე კი რობერტო ბაჯო გახდა. ამჯერად სწორედ მასზე უნდა შევაჩეროთ თქვენი ყურადღება.

რაც ბაჯო „ბოლონიაში“ გადავიდა, მისი და ახალი კლუბის საქმეები უკეთესობისკენ წავიდა. ეგ კი არა, „სკუადრა აძურას“ მწვრთნელი ჩეზარე მალდინი „ბოლონიას“ ამხანაგურ შეხვედრებს არ ტოვებს: ძნელი მისახვედრი არაა, ბაჯოს აკვირდება. მალდინი ამჯერადაც არ დააკლდა თამაშს. „ბოლონია“ ჯერ „ფიორენტინას“ შეხვდა. რობი შეუდარებელი იყო — ჯერ თანაგუნდელს გაატანინა, მერე კი მისი უამრავი შესანიშნავი პასისა თუ ფინტის გვირგვინად 30 მეტრიდან ყუმბარისებურად დარტყმული გოლი იქცა. მეტოქის არგენტინელი ფორვარდი გაბრიელ ბატისტუტა ხუმრობდა, დღეს ბაჯომ გოლი რომ გაიტანა, მაგნაირებზე მხოლოდ ვოცნებობო. რობერტოს მიმართ საქებარი სიტყვები არც მისმა მწვრთნელმა რენცო ულივიერიმ დაიშურა — იგი 30 წლისაა, მაგრამ უამრავ მასზე უმცროსს სჯობიაო. ჟურნალისტებმა ორიოდ სიტყვა ჩეზარესაც დასტყუეს — რობერტო ბრწყინვალედ თამაშობს, მაგრამ ეს ამხანაგური მატჩებია, მისი საკითხი კი სერია A-ს რამდენიმე მატჩის მერე გადაწყდებაო.

ის მატჩი „ბოლონიამ“ 2:1 მოიგო. მერე გამარჯვებულს მასპინძლები დაუპირისპირდნენ, თუმცა ბაჯოს შეჩერება მათაც ვერ შეძლეს და დამარცხდნენ 0:2. ორივე გოლი 18 წლის სიერა ლეონელმა მოჰამედ კალონმა გაიტანა, რომელიც „ბოლონიას“ „ინტერმა“ ათხოვა. ეს ყმაწვილკაცი ვერ იხეირებდა, რომ არა ბაჯო — ორივე გოლი რობის პასით გავიდა. საერთოდ ეს განახევრებული შეხვედრა „ბოლონიამ“ მეტად ლამაზად ითამაშა, რასაც თავდასხმაში ბაჯოს, კენეტ ანდერსონისა და იგორ კოლივანოვის გამწესებამ შეუწყო ხელი. მატჩის მერე ულივიერიმ თქვა: კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რა დიდი ძალაა ბაჯო — არაა გამორიცხული, მუდმივად სამი ფორვარდით ვითამაშოთო.

ბაჯოზე საუბრისას, ურიგო არ იქნებოდა მის ყოფილ კლუბებზეც გვეთქვა ორიოდე სიტყვა.

„მილანით“ დავიწყოთ. ბრაზილიური ტურნე, სადაც მილანელებმა სამი მატჩი ფრედ დაასრულეს, კაპელომ დამაკმაყოფილებლად შეაფასა და თქვა — კრიზისი დაძლეულია, ახლა „მილანი“ აღმასვლას განიცდის, მალე ამაში თავად დარწმუნდებითო. იქვე განაცხადა, რომ ახარებს დაცვის ძლიერი თამაში, თუმცა, თავდასხმით უკმაყოფილოა — ბრაზილიაში მხოლოდ სამი გოლი გაიტანეს და სამივე ვეამ შეაგდო. კაპელოს თქმით, კლუბის უცვლელ მცველებს პაოლო მალდინისა და ალესანდრო კოსტაკურტას წელს გერმანელი ციგე, ბრაზილიელი კრუზი, ჰოლანდიელი ბოგარდი და დიდი მომავლის მქონე ხორვატი დარიო სმოჯი შეემატნენ, მათთან პაექრობას კი იგი ურთულეს საქმედ თვლის: „ბარეზის წასვლისას „მილანის“ დიდი ერა დასრულდა. ახლა ახალი იწყება, მას დიდი მიღწევები ელის. ამას ჩვენ წელსვე დავამტკიცებთ“.

„იუვენტუსიც“ ვახსენოთ. ამას დრო უქმად არ დაუკარგავს და გენუის ტურნირის დარ გათამაშებაში იასპარეზა, ოღონდ უდინეში. მეტოქეებად მასპინძელი „უდინეზე“ და „ინტერი“ ჰყავდა. ლიპის ბიჭებმა საკმაოდ უსუსურად ითამაშეს და მიუხედავად იმისა, რომ არ დამარცხებულან (ორივე მატჩი 0:0), კრიტიკის ქარცეცხლი დაიტეხეს.

**გიგა ძოგახიძე**

## გერმანია

III ტური

**შტუტგარტი 1:0 ლევერკუზენი**
1:0 ბობიჩი (18)

**ბოხუმი 0:0 დუისბურგი**

**კარლსრუე 3:1 არმინია**
1:0 ჰესლერი (26 პ), 1:1 რაიხი (67 საკ. კარში), 2:1, 3:1 სხეპენსი (78, 88)

**შალკე 1:0 დორტმუნდი**
1:0 ანდერბრიუგე (86)

**კიოლნი 0:0 კაიზერსლაუტერნი**

**ბაიერნი 5:2 ვოლფსბურგი**
1:0 ელბერი (10), 2:0 შტრუნცი (12), 3:0 რიციტელი (20), 3:1 რეინა (40), 4:1 ელბერი (59), 5:1 რიციტელი (69), 5:2 მაისნერი (86)

**ვერდერი 3:3 მიუნხენ 1860**
0:1 ბენდერი (5), 1:1 ჰერცოგი (26 პ), 2:1 უალკერი (40 საკ. კარში), 2:2 ბორიმიროვი (65), 3:2 ჰერცოგი (87), 3:3 ბოდენი (89)

**ჰანზა 2:1 ჰამბურგი**
1:0, 2:0 ბარბარესი (37, 41), 2:1 ვოიტალა (69)

**ჰერტა 2:2 მიონხენგლადბახი**
1:0 შმიდტი (32), 2:0 ფაიტი (68), 2:1 ვინჰოფი (79), 2:2 ეფენბერგი (89)


მიუნხენელთა ბრაზილიელმა ელბერმა ორჯერ შეაგდო

REUTERS მიუნხენიდან

დასანანია, როცა გუნდი შეხვედრის დასასრულამდე 16 წუთით ადრე ორი ბურთით იგებს და მაინც ფრეს სჯერდება. უფრო ნაკლებ დროშიც გაუყაიმებიათ, ან სულაც მოუგიათ დამარცხებისთვის განწირულთ. ამგვარი შემთხვევები სხვაგან იშვიათია, მაგრამ გერმანიაში — არა. ბუნდესლიგის გუნდი, რაც უნდა დიდი ანგარიშით აგებდეს, უკანასკნელ წამამდე იბრძვის და ზოგჯერ მიზანსაც აღწევს.

დაახლოებით ასეთი რამ მოხდა ბერლინში, სადაც ბუნდესლიგის დაარსებამდე გერმანიის ჩემპიონი „ჰერტა“ მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ მასპინძლობდა. როგორც ყოველთვის, ბერლინში ამჯერადაც 5 ათეულ ათასზე მეტი ფანი შეიკრიბა საყვარელი გუნდის მხარდასაჭერად, მაგრამ მარტო გულშემატკივრობით ვერაფერს გახდები. ბერლინელებმა ორჯერ ივაჟკაცეს, მერე კი მოეშვნენ და როცა საფრთხე იგუმანეს, გვიანღა იყო. 79-ე წუთზე პიტერ ვინჰოფის ბერლინელთა კართან მიახლოება მასპინძელთათვის სავალალო აღმოჩნდა — „ჰერტამ“ თამაში ცენტრიდან განაახლა. ერთბურთიანი სხვაობა დიდი უპირატესობა არ არის, ამიტომ მასპინძლებმა დროის გაყვანა იწყეს, უხეშობასაც არ ერიდებოდნენ, რის გამოც დაისაჯნენ — ერთ-ერთი ჯარიმა ნაკრებიდან სამუდამოდ მოკვეთილმა შტეფან ეფენბერგმა გოლად აქცია და ჩემპიონატის მესამე ტურში თავის კლუბს მესამე ფრე გაუხერხა. „პირველ ნახევარში საზიზღრად ვითამაშეთ. შესვენებაზე შეცდომებიდან დასკვნები გამოვიტანეთ და შედეგს თავად ხედავთ. მჯერა, მალე ვიმარჯვებთ კიდეც“ — განაცხადა სტუმართა მშველელმა.

ამ შეხვედრის დაძაბულობას ნაღდად არ ჩამოუვარდებოდა ევროთასების მფლობელთა საინტერესო ჭიდილი — უეფას თასის მომგები „შალკე 04“ ჩემპიონთა ლიგაში ნამარჯვ დორტმუნდის „ბორუსიას“ მასპინძლობდა. მეტოქენი 108-ედ უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. დაძაბულობა წამითაც არ დამცხრალა და 86-ე წუთზე კულმინაციას მიაღწია — 8 წუთის წინ შეცვლაზე შესულმა ინგო ანდერბრიუგემ იმარჯვა და დამსწრე 68 ათასი გულშემატკივრიდან უმრავლესობა ძლიერ ახარა. „ნეტავ იცოდეთ, რა გრძნობა დამეუფლა, გოლი რომ გავიტანე. შეუდარებელია, როცა ევროპის უძლიერეს გუნდს ბურთს შეუგდებ. ეს მოგება ჩვენი გუნდისთვის ფასდაუდებელია“ — განაცხადა ანდერბრიუგემ, გელზენკირხენელთა ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ჰუბ სტევენსმა კი თქვა, ჩემთვის მთავარი მოპოვებული სამი ქულაა და არა ის, ჩემპიონთა თასის მფლობელს რომ ვაჯობეთო. სტევენსის აპენინელმა კოლეგამ, ნევიო სკალამ კი „ბორუსიის“ მხარდამჭერთ თავშეკავებისკენ მოუწოდა — მერე რა, რომ წავაგეთ, მასპინძლები იმსახურებდნენ კიდეც მოგებასო: „მარცხიდან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. ვის არ წაუგია. წინ მთელი სეზონია, გუნდი მალე შეთამაშდება და გამარჯვებებიც უახლოეს ხანებში მოვა“.

ამ შეხვედრაში სკალას გუნდის მარცხის მთავარი [illegible] იურგენ კოლერი იყო. თითქმის ყველფრის მომგები [illegible]თან ორთაბრძოლაში [illegible] და ფორვარდმაც ამის შემდეგ იხეირა. კოლერის შეცდომა აშკარა იყო. თავად მცველსაც ეყო ვაჟკაცობა და განაცხადა, წაგება ჩემი ბრალია, ძლიერ ნუ გამკიცხავთო: „შალკემ“ შესანიშნავად ითამაშა. არც ჩვენ ვიყავით ჯაბანნი, მაგრამ ბოლოს შევცდი და დავმარცხდით. იმედია, მეორე წრეში შურს ვიძიებ“.

დორტმუნდელებთან ერთად წელს ჩემპიონთა თასზე მოასპარეზე მიუნხენის „ბაიერნმა“, ვისაც „ბორუსიის“ დარად იტალიელი — ჯოვანი ტრაპატონი თავკაცობს, როგორც იქნა, ნავსი გატეხა და გოლებით აავსო მეტოქე. არადა, ბუნდესლიგის ჩემპიონებს პირველ ორ ტურში ერთი კინკილა გოლი ჰქონდათ გატანილი. ამჯერად მიუნხენელებს ლიგაში პირველად მოთამაშე „ვოლფსბურგმა“ დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწია და განადგურდა, გამარჯვებულთა შორის კი ერთბაშად ორმა ლეგიონერმა — ბრაზილიელმა ჯოვანი ელბერმა და იტალიელმა რუჯერო რიციტელიმ „დუბლები“ შეასრულეს. ჯოვანი ტრაპატონიმ, როგორც იქნა, გაიხარა — ბიჭებისგან ასეთ თამაშს რახანია ველოდიო.

„ბაიერნი“ ახლა ათამაშდა, „კარლსრუე“ და „კაიზერსლაუტერნი“ კი პირველივე ტურიდან ძალებს არ ზოგავდნენ და აგერ ლიდერობენ კიდეც.

**ლაშა გოდუაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარლსრუე | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 7 |
| კაიზერსლაუტ. | 3 | 2 | 1 | 0 | 2:0 | 7 |
| შალკე | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| ბაიერნი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| დორტმუნდი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| ბოხუმი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| დუისბურგი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| შტუტგარტი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ჰანზა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ვოლფსბურგი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:6 | 4 |
| კიოლნი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:5 | 4 |
| მიუნხენ 1860 | 3 | 0 | 3 | 0 | 6:6 | 3 |
| მიონხენგლად. | 3 | 0 | 3 | 0 | 5:5 | 3 |
| ლევერკუზენი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| არმინია | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| ჰამბურგი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| ჰერტა | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| ვერდერი | 3 | 0 | 2 | 1 | 5:7 | 2 |

### მეორე ბუნდესლიგა

მე-3 ტური. ფიურტი — ცვიკაუ 1:0; უნტერჰახინგი — ფორტუნა 0:4; მეპენი — დიუსელდორფი 2:2; ურდინგენი — ვატენშაიდი 2:1; აინტრახტი — კიკერსი 1:0; კარლ ცაისი — კოტბუსი 0:3; ლაიფციგი — ნიურნბერგი 2:1; გიუტერსლო — ფრაიბურგი 1:2. ზანქტ პაული — მაინცი ნუხელ გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აინტრახტი | 3 | 3 | 0 | 0 | 5:2 | 9 |
| ლაიფციგი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| ურდინგენი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| უნტერჰახინგი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:6 | 6 |
| ფრაიბურგი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 |
| მეპენი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:5 | 5 |
| ფორტუნა | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| გიუტერსლო | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| კოტბუსი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ფიურტი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | 4 |
| მაინცი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:4 | 3 |
| ნიურნბერგი | 3 | 1 | 0 | 2 | 7:7 | 3 |
| კიკერსი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| ზანქტ პაული | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| დიუსელდორფი | 3 | 0 | 2 | 1 | 5:6 | 2 |
| ვატენშაიდი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| კარლ ცაისი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |
| ცვიკაუ | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

## შვეიცარია

მე-7 ტური. გრასჰოპერი — ლუცერნი 3:0; სიონი — ლოზანა 0:2; სენტ გალენი — კარუჟი 3:0; ქსამაქსი — არაუ 3:0; კრიენსი — ბაზელი 3:1; სერვეტი — ციურიხი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოზანა | 6 | 4 | 2 | 0 | 14:3 | 14 |
| სერვეტი | 6 | 4 | 2 | 0 | 14:7 | 14 |
| გრასჰოპერი | 6 | 3 | 2 | 1 | 17:8 | 11 |
| სენტ გალენი | 7 | 3 | 2 | 2 | 13:10 | 11 |
| ციურიხი | 7 | 3 | 2 | 2 | 8:10 | 11 |
| კრიენსი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:5 | 10 |
| სიონი | 7 | 2 | 4 | 1 | 9:8 | 10 |
| ქსამაქსი | 7 | 3 | 0 | 4 | 11:13 | 9 |
| არაუ | 6 | 1 | 2 | 3 | 6:9 | 5 |
| ლუცერნი | 7 | 1 | 2 | 4 | 4:10 | 5 |
| კარუჟი | 7 | 0 | 3 | 4 | 4:15 | 3 |
| ბაზელი | 6 | 0 | 2 | 4 | 3:12 | 2 |

## დანია

მე-3 ტური. ლუნგბიუ — იკასტი 5:4, ფრიმადი — აბ 2:3, კოპენჰაგენი — ოლბორგი 4:3, ჰერფოლგე — ორჰუსი 1:3, ოდენსე — ბრონდბიუ 0:1, სილკებორგი — ვაილე 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 3 | 3 | 0 | 0 | 12:3 | 9 |
| აბ | 3 | 2 | 1 | 0 | 11:6 | 7 |
| სილკებორგი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| კოპენჰაგენი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:5 | 7 |
| ორჰუსი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:5 | 6 |
| ლუნგბიუ | 3 | 1 | 1 | 1 | 10:15 | 4 |
| ვაილე | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| ფრიმადი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:8 | 3 |
| ჰერფოლგე | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 3 |
| ოლბორგი | 3 | 0 | 1 | 2 | 5:7 | 1 |
| ოდენსე | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |
| იკასტი | 3 | 0 | 0 | 3 | 4:11 | 0 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### უეფას თასი

12 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჰაიდუკი (ხორვატია) — მალმიო (შვედეთი) | (1,5-2,0) | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| ანდერლეხტი (ბელგია) — ვორსკლა (უკრაინა) | (1,05-7,5) | 1,05 | 6,0 | 12,0 |
| ქსამაქსი (შვეიცარია) — ვიკინგი (ნორვეგია) | (1,2-3,5) | 1,2 | 4,0 | 80 |
| როტორი (რუსეთი) — ოდრა (პოლონეთი) | (1,1-5,0) | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| ტრაბზონსფორი (თურქეთი) — დანდი იუნაიტედი (შოტლანდია) | (1,6-1,8) | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| რაპიდი (ავსტრია) — ბობი (ჩეხეთი) | (1,2-3,5) | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ტიროლი (ავსტრია) — სელტიკი (შოტლანდია) | (2,3-1,4) | 1,9 | 2,8 | 3,1 |
| ჰელსინგბორგი (შვედეთი) — ფერენცვაროში (უნგრეთი) | (1,7-1,7) | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ვეილე (დანია) — ჰაპოელი (პეტახ ტიკვა ისრაელი) | (1,7-1,7) | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| გრასჰოპერი (შვეიცარია) — ბრანი (ნორვეგია) | (1,3-2,8) | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| გორიცა (სლოვენია) — ბრიუგე (ბელგია) | (7,5-1,05) | 3,6 | 3,0 | 1,7 |
| პაოკ (საბერძნეთი) — ტრნავა (ჩეხეთი) | (1,35-2,5) | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| რეიკიავიკი (ისლანდია) — ოფი (საბერძნეთი) | (1,9-1,55) | 1,8 | 2,8 | 3,4 |
| იაბლონეცი (ჩეხეთი) — ერებრუ (შვედეთი) | (2,0-1,5) | 1,8 | 2,9 | 3,3 |
| აპოლონი (კვიპროსი) — მუსკრონი (ბელგია) | (7,5-1,05) | 2,7 | 3,0 | 2,0 |
| დინამო (ბელარუსი) — ლილესტრიომი (ნორვეგია) | (1,7-1,7) | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| უიპეშტი (უნგრეთი) — ორჰუსი (დანია) | (1,6-1,8) | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ალანია (რუსეთი) — დნეპრი (უკრაინა) | (1,15-4,0) | 1,2 | 4,0 | 8,0 |

### ჩემპიონთა თასი

13 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ანორთოსისი (კვიპროსი) — ლიერსი (ბელგია) | (7,5-1,05) | 3,0 | 2,7 | 2,0 |
| ბეითარი (ისრაელი) — სპორტინგი (პორტუგალია) | (5,0-1,1) | 2,5 | 2,8 | 2,2 |
| ლევერკუზენი (გერმანია) — დინამო (საქართველო) | ანგარიში — 4,5 | | | |
| ბეშიქთაში (თურქეთი) — მარიბორი (სლოვაკეთი) | (1,05-7,5) | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| ბრონდბიუ (დანია) — დინამო (უკრაინა) | (1,8-1,6) | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| ბარსელონა (ესპანეთი) — სკონტო (ლატვია) | (—-30,0) | 1,01 | 7,0 | 16,0 |
| კოშიცე (სლოვაკეთი) — სპარტაკი (რუსეთი) | (5,0-1,1) | 2,1 | 2,9 | 2,5 |
| სიონი (შვეიცარია) — გალათასარაი (თურქეთი) | (1,8-1,6) | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| ფეიენოორდი (ჰოლანდია) — ჯაზი (ფინეთი) | (1,05-7,5) | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| გიოტებორგი (შვედეთი) — რეინჯერსი (შოტლანდია) | (1,7-1,7) | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| მტკ (უნგრეთი) — რუსენბორგი (ნორვეგია) | (2,0-1,5) | 2,0 | 2,7 | 3,0 |
| ნიუკასლი (ინგლისი) — კროაცია (ხორვატია) | (1,2-3,5) | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — მოზირი (ბელარუსი) | (1,05-7,5) | 1,05 | 6,0 | 12,0 |
| ზალცბურგი (ავსტრია) — სპარტა (ჩეხეთი) | (2,0-1,5) | 1,8 | 2,9 | 3,3 |
| სტიაუა (რუმინეთი) — პსჟ (საფრანგეთი) | (3,5-1,2) | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| ვიძევი (პოლონეთი) — პარმა (იტალია) | (7,5-1,05) | 3,0 | 2,7 | 2,0 |

### თასების თასი

14 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ლეგია (პოლონეთი) — გლენავონი (ჩრდ. ირლანდია) | (1,01-15,0) | 1,01 | 7,0 | 16,0 |
| ქვიმბრანი (უელსი) — ნაციონალი (რუმინეთი) | (7,5-1,05) | 2,9 | 3,0 | 1,9 |
| ჟალგირისი (ლიტვა) — ჰაპოელი (ბეერ შევა ისრაელი) | (2,3-1,4) | 1,8 | 2,9 | 3,3 |
| ზიმბრუ (მოლდოვა) — შახტიორი (უკრაინა) | (4,0-1,15) | 2,1 | 2,7 | 2,8 |
| დინაბურგი (ლატვია) — ქაფაზი (აზერბაიჯანი) | (1,4-2,3) | 1,35 | 3,2 | 6,0 |
| კილმარნოკი (შოტლანდია) — შელბურნი (ირლანდია) | (1,1-5,0) | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| სადამი (ესტონეთი) — ბელშინა (ბელარუსი) | (2,8-1,3) | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| პრიმორიე (სლოვენია) — უნიონი (ლუქსემბურგი) | (1,1-5,0) | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ჰიკ (ფინეთი) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) | (7,5-1,05) | 4,0 | 2,8 | 1,7 |
| სლოგა იუგომაგნატი (მაკედონია) — ზაგრები (ხორვატია) | (5,0-1,1) | 2,2 | 2,8 | 2,6 |
| ვაშაში (უნგრეთი) — ბალცერსი (ლიხტენშტაინი) | (—-30,0) | 1,01 | 7,0 | 16,0 |
| ლევსკი (ბულგარეთი) — სლოვანი (სლოვაკეთი) | (1,6-1,8) | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ბათუმი (საქართველო) — არარატი (სომხეთი) | ანგარიში — 4,5 | | | |
| ჰიბერნიანი (მალტა) — ვესტმანაეიარი (ისლანდია) | (3,5-1,2) | 1,8 | 3,0 | 3,2 |
| აპოელი (კვიპროსი) — ჰაფნარი (ფარერები) | (1,05-7,5) | 1,05 | 6,0 | 12,0 |

### ინტერტოტო

12 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჰალმშტადი (შვედეთი) — ბასტია (საფრანგეთი) | (3,5-1,2) | 2,0 | 2,8 | 2,9 |
| მონპელიე (საფრანგეთი) — ლიონი (საფრანგეთი) | (2,5-1,35) | 1,8 | 2,8 | 3,4 |
| დუისბურგი (გერმანია) — ოსერი (საფრანგეთი) | (1,7-1,7) | 1,6 | 3,1 | 4,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. II ტური

12 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| კრისტალ პალასი — ბარნსლი | 1,5 | 3,0 | 5,0 |

13 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ასტონ ვილა — ბლექბერნი | 1,35 | 3,2 | 6,0 |
| დერბი — უიმბლდონი | 1,7 | 3,0 | 3,6 |
| ლივერპული — ლესტერი | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| მანჩესტერ იუნაიტედი — საუთჰემპტონი | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| შეფილდ უენსდეი — ლიდსი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ვესტ ჰემი — ტოტენჰემი | 2,5 | 2,8 | 2,2 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. გადადებული მატჩი

14 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| სერვეტი — ლოზანა | 1,8 | 2,8 | 3,4 |

### გერმანიის თასი. ოცდამეთორმეტედფინალი

13-16 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰანზა — ლევერკუზენი | 3,2 | 3,0 | 1,8 |
| ცვიკაუ — შალკე | 8,0 | 4,0 | 1,2 |
| ჰამბურგი (მოყვარულები) — ბოხუმი | 7,0 | 4,2 | 1,2 |
| ნორდჰაუზენი — ჰამბურგი | 8,0 | 4,7 | 1,15 |
| კაიზერსლაუტერნი (მოყვ.) — კაიზერსლაუტერნი | 12,0 | 6,0 | 1,05 |
| ვარნემიუნდე — დორტმუნდი | 12,0 | 6,0 | 1,05 |
| ობერჰაუზენი — ვერდერი | 8,0 | 4,0 | 1,2 |
| ულმი — კიოლნი | 8,0 | 4,0 | 1,2 |
| ვალდბერგი — ბაიერნი | 12,0 | 6,0 | 1,05 |
| ვერდერი (მოყვ.) — ვოლფსბურგი | 7,0 | 4,2 | 1,2 |
| ცელე — მიუნხენ 1860 | 8,0 | 4,7 | 1,15 |
| ხემნიცერი — კარლსრუე | 8,0 | 4,0 | 1,2 |
| როტლინგენი — არმინია | 6,0 | 3,6 | 1,3 |
| აიზენჰიუტენშტადი — ჰერტა | 5,0 | 3,3 | 1,4 |
| როტ ვაისი — დუისბურგი | 5,0 | 3,3 | 1,4 |
| ჰანოვერი — მიონხენგლადბახი | 5,0 | 3,3 | 1,4 |
| მიონხენგლადბახი (მოყვ.) — შტუტგარტი | 10,0 | 5,0 | 1,1 |
| ლაიპციგი — გიუტერსლოო | 1,7 | 3,0 | 3,6 |
| კარლ ცაისი — ზანქტ პაული | 1,8 | 3,0 | 3,2 |
| რაინიკენდორფი — მეპენი | 3,8 | 3,2 | 1,6 |
| ლიუბეკი — დიუსელდორფი | 3,2 | 3,0 | 1,8 |
| ზინგენი — ფიურტი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| ზაარბრიუკენი — ფრაიბურგი | 2,5 | 2,8 | 2,2 |
| მიუნსტერი — მაინცი | 4,2 | 3,3 | 1,5 |
| პანსდორფი — კოტბუსი | 3,8 | 3,2 | 1,6 |
| ნოიკირხენი — ურდინგენი | 6,0 | 3,6 | 1,3 |
| აახენი — ნიურნბერგი | 2,9 | 3,0 | 1,9 |
| ჰალე — აინტრახტი | 6,0 | 3,6 | 1,3 |
| ტრიერი — უნტერჰახინგი | 5,6 | 3,8 | 1,3 |
| მანჰაიმი — ფორტუნა კიოლნი | 3,2 | 3,0 | 1,8 |
| ვალდჰოფი — ვატენშაიდი | 2,1 | 3,0 | 2,5 |
| ოლდენბურგი — კიკერსი | 3,2 | 3,0 | 1,8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## CROCO-2

### ტირაჟი №53

1. ტიროლი — სელტიკი
2. უიპეშტი — ორჰუსი
3. ბრონდბიუ — დინამო (კიევი)
4. სიონი — გალათასარაი
5. გიოტებორგი — რეინჯერსი
6. სტიაუა — პარი სენ ჟერმენი
7. სადამი — ბელშინა
8. ლევსკი — სლოვანი

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი.

7 შედეგის გამოცნობისთვის მოგება ფიქსირებულია — 5 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის. თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება **JACK POT**

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში,
ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.
კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე


ერთ-ერთი პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში

თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი

«იბერია»

მის სხვადასხვა სპეციალობებზე სწავლის მსურველთ სთავაზობს გამორჩეულ პირობებს:

1. ქალაქის ცენტრში მდებარე სრულყოფილი სასწავლო ბაზა;

2. უაღრესად მაღალკვალიფიციური პროფესურა და მაღალ დონეზე ორგანიზებული სასწავლო პროცესი;

3. შედარებით ხელმისაწვდომი და სტაბილური სწავლის ქირა;

4. ყოველწლიურად 4 ადგილი მიზნობრივ ასპირანტურაში „იბერია"-ს წარჩინებულ კურსდამთავრებულთათვის (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში);

5. უფასო მოსამზადებელი განყოფილება საშუალო სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთათვის, რომლის კურსდამთავრებულები უგამოცდოდ ჩაირიცხებიან არჩეულ ფაკულტეტებზე;

6. სამეცნიერო, მხატვრული თვითშემოქმედებისა და სპორტულ-ტურისტული წრეები;

1997-98 სასწავლო წლისათვის „იბერია" აცხადებს თავისუფალ მიღებას დღის და დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ ფაკულტეტებზე;

1. იურიდიული (სამართლისმცოდნეობა);

2. საერთაშორისო ბიზნესის (ვაჭრობის მენეჯერი, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მენეჯერი, მრეწველობის მენეჯერი);

3. ისტორიული (ისტორია)

„იბერია"-ს სტუდენტებს საუკეთესო პირობები აქვთ შექმნილი კვალიფიციურ სპეციალისტებად და ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბებისათვის.

*მისამართი:* დავით აღმაშენებლის გამზირი, № 138 ☎ 95 94 12; 95 89 62.

# ათენში აღარ კვდებიან

**დასაწყისი პირველ გვერდზე**




**200 მეტრზე მორბენალ ვაჟებში გამარჯვება ატო ბოლდონს დარჩა**

...ვუყურებდი ვაჟთა სამხტომს და გულში ვამბობდი: ეჰ, სანეევი! სამხტომის ისტორიაში ვინმე ყოფილა მასზე დიდი? კაცმა, მაშინ „ლოკომოტივის“ სტადიონად წოდებული სარბიელის სათადარიგო მოედანზე რომ ვარჯიშობდა დაუღალავად, სამჯერ მოიპოვა ოლიმპიური ოქრო, მეოთხედ, მოსკოვში თუმცა კვლავ ყველას აჯობა, ოქროს მიღმა დარჩა. როგორც ამბობენ, წინასწარ იყო ცნობილი, ჩემპიონი ვინც უნდა გამხდარიყო.

ათენში, მსოფლიოს ჩემპიონი კუბელი იოელვის კუსადა გახდა — 17,85 მეტრი. მეორე იყო მსოფლიოს რეკორდსმენი, ინგლისელი (თეთრკანიანი) ჯონათან ედვარდსი — 17,69 მ, ხოლო მესამე ალისერ ურუტია — 17,64 მ — ჩემპიონის თანამემამულე. რაკილა რეკორდი ვახსენეთ, იგი 18,29 მეტრია.

რით იყო საინტერესო მარათონი? იმით, რომ სპორტსმენებმა კლასიკური მარშრუტი გაირბინეს. ასეთი ხშვაგან არ ხდება: სტარტი ქალაქ მარათონში, ფინიში — ათენში. სწორედ ეს გზა გაირბინა იმ ისტორიულმა ჯარისკაცმა, ათენელებისთვის ელინ მებრძოლთა გამარჯვება რომ უნდა ეცნობებინა. აცნობა და უსულოდ დაენარცხა.

მიუხედავად მარშრუტის კლასიკურობისა, ათენში არავინ მომკვდარა. პირიქით, პირველად მისულმა გაიხარა. მისი სახელი და გვარია ჰირომი სუზუკი, ქვეყანა — იაპონია, დრო 2:29.48. მეორე იყო მანუელა მაჩადო პორტუგალიიდან — 2:31.12, მესამე კი რუმინელი ლიდია სიმონი — 2:31.55.

ასეთი გახლდათ ქალთა მარათონის შედეგები, მარათონისა, რომლის ფინიშზეც არავის აფეთქება ყოფილა განზრახული. საქმე ისაა, რომ „პანათინაიკონის“ სტადიონი, ფინიშის ადგილი, ცოტა ხნით დაიკეტა. თურმე ნუ იტყვით და, თავად ათენის მერს უნებებია სანახაობაზე დასწრება, ასეთი პატივცემული გვამის ხათრით კი სარბიელზე ყველა შესასვლელი ჩარაზეს. ჩარაზულ კარიბჭეთა დანახვაზე დაუყოვნებლივ დაირხა ხმა ტერორისტების და ბომბების შესახებ, რომლის გასაქარწყლებლადაც მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციას საგანგებო ბიულეტენის გავრცელება მოუხდა.

სანამ რაიმეს ვაჟთა მარათონზე ვიტყოდეთ, მანამდე მომხდარ ამბებს შევეხმიანოთ. ასეთ ამბავთა შორისაა ქალთა სირბილი 800 მეტრზე, რომელიც პირადად ჩემთვის იმით იყო საინტერესო, რომ წინა რიგში მსხდომმა კუბელმა ჟურნალისტებმა არნახული ყიჟინი დასცეს. ასეთი კივილი პრესის სექტორში პირველად მოვისმინე და ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ თუ ამ წერილში ამის მერე რაიმე არ მოგეწონათ, იცოდეთ, მათი კივილის ბრალია.

ყიჟინის მიზეზს, ცხადია, მიხვდით. გაიმარჯვა კუბელმა, რომელსაც ჰქვია ანა ფიდელია კიროტი (1:57.14). მეორე იყო რუსი ელენა აფანასევა (1:57.56), მესამე — მოზამბიკელი მარია მუტოლა (1:57.59).

— ხავიერის და იოელვისის მედლების შემდეგ, არ მეგონა, ელ კომანდანტეს (ფიდელ კასტრო — ი.ბ.) და კუბელი ხალხის იმედს თუ გავამართლებდი. მთელი ღამე ამაზე ვფიქრობდი, თითქმის არ მძინებია — აღიარა მსოფლიოს წინაშე ანა ფიდელიამ, რომელსაც აწი რა უჭირს, სულ მცირე, კასტროს გაბურძგნულ ლოყაზე კოცნა გარანტირებული აქვს.

ვის კოცნას გამოჰკრა ხელი რუსმა ლუდმილა გალკინამ, ვერ გეტყვით, მაგრამ მასაც უთუოდ აკოცებენ. რუსები ხომ ჩემპიონატის ბოლოსწინა დღემდე ოქროს მედლის გარეშე იყვნენ. მავანნი ქირქილებდნენ, დოპინგის სისტემამ უმტყუნათო, მავანნი ტრავმებსა და სხვა, უფრო სიღრმისეულ მიზეზებზე ლაპარაკობდნენ. რუსული მძლეოსნობის პრობლემები, არა მგონია, ჩვენი გასარჩევი იყოს, ამ წერილში მაინც. ფაქტი კი ერთია, ქალთა შორის სიგრძეზე ხტომის ჩემპიონი გახდა ზემოხსენებული გალკინა, რომელიც 7,05 მეტრს გადააფრინდა, ჩემპიონატის მასპინძელთა გასახარად მეორე ადგილზე ნიკი ქსანტუ გავიდა (6,94 მ), მესამე იყო იტალიელი ფიონა მაი (6,91 მ).

შუბის მტყორცნელ ქალთა შორის იმარჯვა ნორვეგიელმა ცრინე ჰატესტადმა (68,78 მ), მეორე იყო ავსტრალიელი ჯოანა სტოუნი (68,64), მესამე — ტანია დამასკე გერმანიიდან (67,12).

ქალთა 5 კილომეტრის ფავორიტი გახლდათ პორტუგალიელი ფერნანდა რიბეირო, მაგრამ ბოლო მონაკვეთზე მასზე სწრაფნი აღმოჩნდნენ გაბრიელა საბო (14:57.68 წთ), რუმინეთიდან და იტალიელი რობერტა ბრუნეტი (14:58.29 წთ). რიბეიროს, რომელსაც 10 კილომეტრი ამ ჩემპიონატზე უკვე ჰქონდა ნარბენი, წამზომმა 14:58.85 უჩვენა. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ დიდად მოულოდნელი არაფერი მომხდარა.

არც ქალთა ასმეტრიან ესტაფეტაში განუცვიფრებია ვინმე რამეს. რასაკვირველია, გაიმარჯვეს ამერიკელებმა, რომელთა ოთხეულშიც იყვნენ გეინესი, მერიონ ჯონსი, ინგერ მილერი და უგრძესი ფრჩხილების მქონე გეილ დევერსი. მათი შედე-




**ჰანე ჰეგლუნდმა ნორვეგიას ოქრო მოუტანა**

გი გახლდათ 41,47 წმ, მეორეზე გასულ იამაიკელთა დრო 42,10 იყო, ფრანგთა ბრინჯაო კი 42,21-მა მოიტანა. აღსანიშნავია, რომ იამაიკელთა გუნდში არ ურბენია მერლინ ოტის, ფრანგებმა კი ეროვნული რეკორდი დაამყარეს.

ახლა კი ჩემპიონატის უკანასკნელ დღეზე გადავიდეთ. 10 აგვისტოს პირველი შეჯიბრება ვაჟთა მარათონი გახლდათ. როგორც მან გამოავლინა, უშველებელ მანძილებზე გაქცევა ყველაზე მეტად ესპანელებს ჰყვარებიათ. არა, ეთიოპიელი ბელაინე დინსამოს რეკორდს (2:06.50 საათი) ხელი ვერავინ ახლო, მაგრამ არც გამარჯვებული აბელ ანტონის შედეგი გახლდათ ურიგო — 2:13.16 სთ. ანტონის კუდში მიჰყვა მისი თანამემამულე მარტინ ფისი, რომელმაც დისტანცია 2 საათსა 13 წუთსა და 21 წამში გაირბინა. ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა ავსტრალიელი სტივენ მონეგეტი 2:14.16.

და ისევ ათენის ოლიმპიური სტადიონი. საღამო.

ხუთ კილომეტრზე მორბენალთა ჩემპიონი გახდა ყველაზე ახალგაზრდა ფინალისტი, 21 წლის კენიელი დანიელ კომენი. მისი დრო 13:07.38 წუთი გახლდათ. კომენმა დაახლოებით სამი კილომეტრის გარბენის შემდეგ სისწრაფეს მოუმატა და მეტოქეები რიგიანად ჩამოიტოვა. მერე? მერე გამარჯვებულს ხელში თავისი ქვეყნის დროშა მიაჩეჩეს და მანაც, დროშიანად, ელვისებური სისწრაფით კიდევ ერთი წრე შემოურბინა მოედანს. საბრალო ფოტორეპორტიორებს მის დევნაში ცხრა პირი ოფლი დასდინდათ.

მეორეზე გავიდა მაროკოელი ხალიდ ბულამი (13:09.34), მესამეზე — ტომ ნიარიკი, ისიც კენიიდან (13:11.09).

საინტერესო რამ მოხდა ქალთა სიმაღლეზე ხტომაში. აქ ბრინჯაოს მედალი უპატრონოდ დარჩა, რადგან ორმა სლავმა „სესტრამ“ რუსმა ოლგა კალიტურინამ და უკრაინელმა ინგა ბაბკოვამ ზუსტად ერთნაირად იასპარეზეს. მათ სიმაღლეც ერთნაირად დალაშქრეს — 196 სანტიმეტრი და ცდების თანმიმდევრობაშიც იდენტურნი იყვნენ. ჩემპიონი კი გახდა ნორვეგიელი ჰანე ჰეგლუნდი, რომელიც 199 სანტიმეტრს გადაევლო.

ბადროს მტყორცნელ ვაჟებში გერმანელი ლარს რაიდელი იყო უძლიერესი — 68,54 მ. მეორეზე გავიდა ლატვიელი ვირგილიუს ალეკნა (66,70), მესამეზე — ჩემპიონსავით გერმანელი იურგენ შულტი (66.14).

და დოპინგი? ცხადია იყო. ვის აღმოუჩინეს? ვის აღმოუჩნდნენ?! ორი რუსი სპორტსმენი, 10 კილომეტრზე მოარული ოლიმპიადა ივანოვა და 800 მეტრზე მორბენალი სიომა ლუბოვი სტანოზოლილით მომაგრებულნი გასულან საასპარეზოდ. ლუბოვმა არაფერი დაკარგა, ორწლიან დისკვალიფიკაციას თუ არ ჩავთვლით, ივანოვას კი ველარც ორი წლის განმავლობაში ვიხილავთ სარბიელზე და ვერცხლის მედალსაც გამოამშვიდობეს. ათ კილომეტრზე მოსიარულეთა ახალი სამეული ასეთია: ანარიტა სიდოტი (იტალია), ოლგა კარძოპოლცევა (ბელარუსი) და ვალენტინა ციბულსკაია (ბელარუსი).

კაცთა ესტაფეტა 4×100. აქ ნახევარფინალში ამერიკელებმა ამანათი ვერ გადასცეს ერთმანეთს და ფინალი ფავორიტთა გარეშე დასტოვეს. უფავორიტო ფინალში იმარჯვა კანადამ (ცსმი, გილბერტი, სურინი, ბეილი) — 37,86 წმ, ვერცხლი მოიხვეჭეს ნიგერიელებმა — 38,07 წმ, ბრინჯაო კი ბრიტანელებს ერგოთ — 38,14 წმ.

ქალთა 4×100. ჩემპიონია გერმანია (ფელერი, როლანდერი, რუკერი, ბრეუერი) — 3:21.03 წთ. მეორე ადგილი აშშ-ისაა — 3:21.03, მესამე ერგო იამაიკას — 3:21.30 — ეროვნული რეკორდი.

ოჰ, ბუბკა, ბუბკა. მძლეოსნობაში ახლა მსოფლიოს ექვსი ჩემპიონატია ჩატარებული და ექვსივეში ჩემპიონი სერგეი ბუბკა გახდა. ეს უკრაინელი კაცი ნამდვილი ფენომენია. გენიოსი. თან როგორ მოიგო? 550 გამოტოვა, 570 პირველი ცდით დალაშქრა და შემდეგ 591-მდე ჭოკს აღარ მიჰკარებია. ეს სიმაღლე მეორე ცდით რომ დალაშქრა, 606-მდე „წამოწვა“ და აქ პირველივე ცდით მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. მასთან მებრძოლმა რუსმა მაქსიმ ტარასოვმა 596-ს სანტიმეტრიც ველარ მიამატა, მესამეზე გასული ამერიკელი დინ სტერკი კი 591-ს დასჯერდა.

100 მეტრზე თარჯრბენის ფინალში უძლიერესი ქალი ყოფილი რუსი ლუდმილა ნაროჟილენკო გამოდგა. შვედ ენგკვისტზე გათხოვების შემდეგ იგი მეუღლის გვარზე გადავიდა და ახალი ქვეყნის სახელით გამოდის. 12,50 წმ — ასეთი იყო მისი შედეგი. მეორეზე გავიდა ბულგარელი სვეტლა დიმიტროვა (12,58), მესამეზე იამაიკელი მიშელ ფრიმენი (12,61).

და ბოლოს, ვაჟთა 4×400. ჩემპიონია აშშ (იანგი, პეტიგრიუ, ჯონსი, ვოშინგტონი) — 2:56.47. მეორეზე გავიდა ბრიტანეთი — 2:56.65, მესამეზე იამაიკა — 2:56.75 — ეროვნული რეკორდი.




**კუბელმა სამმხტომელმა კესედამ თვით ჯონათან ედვარდსს აჯობა**

*AP-ის ფოტოები*





წესითა და რიგით, თავის ხუთწლოვან იუბილეს ქუთაისის „მეობას“ კალათბურთელ ქალთა გუნდი საქართველოს ჩემპიონის რანგში (პირველად თავის ბიოგრაფიაში) უნდა შეხვედროდა, მაგრამ ეს [illegible] ტანი გაგვიჭიანურდა. [illegible] მაისში რომ უნდა გამართულიყო, სექტემბრისთვის გადაიდო და ქუთაისელებიც ჯერ მხოლოდ ჩემპიონობის რეალურ კანდიდატებად ითვლებიან. „მეობას“ გადამწყვეტი ორთაბრძოლების წინ 19 ქულა აქვს და უახლოეს მდევარს სტუ-ს 2 ქულით სჯობს. ამ ორს ჩვენში მეტოქეობას ვერავინ უწევს და „მეობას“ დიდი შანსი აქვს, საბოლოო გამარჯვება მას დარჩეს, თუმცა, მოესწრებიან კი ამას „მეობა“ და მისი ქომაგები? ნუ გაგიკვირდებათ ეს შეკითხვა. იგი სავსებით ლოგიკურია. თუ რატომ, ამის შესახებ „მეობას“ მთავარი მწვრთნელის ვანო მელაძის ნაუბარიდან შეიტყობთ.

# დღეს „მეობას“ დღეობაა...

**— „მეობა“ ლიდერია, ფაქტობრივად, განაღდებულიც აქვს ჩემპიონობა. კარგ გუნებაზე უნდა იყოთ, თქვენ კი, გატყობთ, რაღაც გადარდებთ...**

— კარგი თქვით, თორემ სადარდებელს რა გამოგვილევს. ძალიან გვიჭირს. შეიდი თვეა, გუნდის წევრებს ხელფასი არ მიუღიათ. ვალები გვაწევს. ცოტაც და, ალბათ, გუნდი დაგვეშლება.

**— ჩვენ კი ვიცოდით, რომ პატრონი გამოგიჩნდათ. აპრილში ხომ თქვენი კლუბი ხელახლა დაფუძნდა...**

— მართალაც ასე იყო. შპს საკალათბურთო კლუბ „მეობად“ ჩამოვყალიბდით. თანადამფუძნებელი ხუთი გვყავს და მათ შორის ქალაქის მერიაცაა, მაგრამ რად გინდა? ერთი თუ გვარგია მხოლოდ — სააქციო საზოგადოება „ტრანსვესტინჟინერინგი“, ყოფილი მე-12 საგზაო-სამშენებლო სამმართველო. წინა ტურებში სწორედ მისი შემწეობით მივიღეთ მონაწილეობა. დანარჩენები მხოლოდ გვპირდებიან დახმარებას. საერთოდ, ჩვენს ქალაქში სპორტის ბედ-იღბალს, იცით, რა ხალხი განაგებს? ამასწინათ ცნობილ ალპინისტს მერაბ ნემსიწვერიძეს საქმის გაიოლების მიზნით ევერესტის ქუთაისში გადმოტანა ურჩიეს. კიდევ ბევრი ასეთი ფაქტის გახსენება შეიძლება. მაგალითად, 15-ში რომ შეკრება გვინდა დავიწყოთ, საკითხის გადასაწყვეტად ურცხვად 22-ში გვიბარებენ, ან იმას რომ გეტყვიან, ერთ ბურთზე მეტი რად გინდათო, რა ჭკუაზე დადგები?! ჰქონდა ჩვენი კლუბის პრეზიდენტს ზაზა დვალიშვილს „მეობის“ ფეხზე დაყენების კონკრეტული წინადადებები, მაგრამ მას ყური არავინ უგდო.

**— გავიგე, ოფისიდანაც გამოუძევებიხართ...**

— ოფისი ერქვა, თორემ ერთ პატარა ოთახში ვიყავით შეხიზნულები „სერვისცენტრის“ შენობაში. არცკი გაუფრთხილებივართ, ისე გამოგვიყარეს საბუთები. სხვათა შორის, არსებობს ქუთაისის მერის შარშანდელი, № 966 განკარგულება ჩვენი კლუბისთვის ოფისის გამოყოფის თაობაზე, მაგრამ ქონების მართვის სამმართველო მის შესასრულებლად თავს არ იწუხებს. აქვე გეტყვით, რომ ლითოფონის ქარხნის დირექციამ ჩვენთვის სპორტდარბაზის გადმოცემა რომ დააპირა, იმავე სამმართველომ შეგვიშალა ხელი.

**— ეს პრობლემები აქამდე არ გაწუხებდათ?**

— გეცოდინებათ, წელიწადნახევარი „მეობას“ ქუთაისის აეროპორტი მეურვეობდა. ღვთისნიერი კაცი იყო რამაზ ჩაჩხიანი. თავის საქმესაც უძღვებოდა და ჩვენც გვპატრონობდა. მაგრამ შეუჩნდნენ და პასუხისგებაშიც კი მისცეს. საბედნიეროდ, ბრალდებები არ უმტკიცდება. ნეტავი იმ დროს! მაშინ მართლა არაფერი გვქონდა საწუწუნო, რამაზ ჩაჩხიანს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ლილიან რონკეტის თასის ორ გათამაშებაში მივიღეთ მონაწილეობა. საქართველოს ნაკრებიც დავალებულია მისგან, ბევრი სიკეთე გაუკეთა.

**— ქალაქის კალათბურთის ფედერაცია რისი მაქნისია?**

— არაფრის, მხოლოდ ქაღალდზე არსებობს.

**— ვაჟთა გუნდი „იმერეთი“ თქვენზე უარეს დღეშია...**

— იმათ ამბავს საერთოდ არავინ კითხულობს. აფსუს ცხონებული სულიკო თორთლაძე, ალბათ, საფლავში გადაბრუნდებოდა.

**— სავარჯიშო პირობები მაინც თუ გაქვთ?**

— სპორტთამაშების სკოლის დარბაზში ჭერიდან წყალი ჩამოდის, ამიტომ ავდარში გოგონებს არ ვიბარებთ. სხვა მხრივ, რა, დარბაზს გვითმობენ. ჰო, მართლა, ამასწინათ შპს „ახალი ქუთაისის“ დირექტორმა, ყოფილმა მორაგბემ ბათლომე ხამაშურიძემ 10 ბურთი გვაჩუქა.

**— საქართველოს ჩემპიონატში ქუთაისის „გელათიც“ გამოდის...**

— შეიძლება ითქვას, რომ იგი „მეობას“ ფარმ-კლუბია. „გელათი“ დაგვიანებით ჩაება გათამაშებაში, თორემ დაკარგული ქულებით მესამე შედეგი აქვს. გუნდში 15-17 წლის გოგონები თამაშობენ. მას საერო ინსტიტუტი „გელათი“ (რექ-



*მიშა ახალაძის ფოტო*

**„მეობას“ გამთამაშებელი გვანცა ომიაძე (მარცხნივ)**

ტორი რობერტ გოლეთიანი) ეხმარება. საერთოდ, რეზერვებთან ქუთაისში ნაყოფიერად მუშაობენ, რაშიც დიდია მწვრთნელების ზაურ ჩარკვიანის, თემურ ყუბანეიშვილის, მერაბ სვანიძის დამსახურება.

**— ჩემპიონატი რატომ გაჭიანურდა?**

— ბოლო, მეხუთე ტურის გამართვა მაისის მეორე ნახევარში იყო ნავარაუდევი, მაგრამ ამ დროს საქართველოს ნაკრები ავსტრიაში, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში თამაშობდა. მერე, რადგან სახსრები არ გაგვაჩნდა, უკვე ჩვენ ვთხოვეთ ფედერაციას ტურის 15 ივნისამდე გადადება. საბოლოოდ მოხდა ისე, რომ ჩემპიონატი სექტემბერში დასრულდება.

**— ევროთასებზე ჩვენი ქალთა გუნდები რატომ არ გამოდიან?**

— მე მხოლოდ „მეობაზე“ შემიძლია გითხრათ. ჩვენ ვაპირებდით ჩემპიონთა თასის გათამაშებაში გამოსვლას. საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში შესაბამისი საგარანტიო წერილიც გაიგზავნა ქალაქის ახალი მერის ხელმოწერით, მაგრამ, ეტყობა, ამ წერილს ვილაცამ მსვლელობა არ მისცა. ევროთასების კენჭისყრის შედეგები რომ გამოქვეყნდა, მხოლოდ მაშინ გავიგეთ, რომ „ოფსაიდში“ დაგვტოვეს. ფედერაციაში რომ ვიკითხეთ, თქვენი ბრალია, დააგვიანეთო. არა მგონია, სინამდვილეში ასე ყოფილიყო.

**— ალბათ, მოთამაშეების ერთად შეკრება გიჭირთ, მათგან სამი ხომ დედაქალაქელია...**

— რა თქმა უნდა, სჯობდა, უფრო ხშირად გვევარჯიშა ერთად, მაგრამ უსახსრობის გამო ამას ვერ ვახერხებთ, თუმცა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილი ერთდროულად „მეობას“ მწვრთნელიცაა და გოგონებს თბილისში ავარჯიშებს.

**— „მეობაში“ საქართველოს ნაკრების რვა მოთამაშეა. მარტო ეს კმარა, რომ გუნდს სათანადო ხელშეწყობა ჰქონდეს...**

— მერე ვინ ითვალისწინებს ამას?! ჩვენთან ბევრს ხომ მარტო ლაპარაკი და გემრიელი დაპირებები ჰგვრის სიამოვნებას, საქმის გაკეთებას კი ნუ მოსთხოვ.

**— მთლად უიმედოდ ხართ?**

— იმედი ღმერთმა ნუ მოგვიშალოს. დაგვადგება, ალბათ, საშველი. კლუბთან მუშაობა დაიწყო ავტოსერვის ბიურომ, რომელიც საგარეუბნო და საქალაქთაშორისო მარშრუტებს ემსახურება. ცოტას იქიდან ველით, დანარჩენს, ალბათ, გვალირსებენ და საქმეც გამოსწორდება, თუმცა ეს ჯერ მხოლოდ ჩვენი სურვილია.

**იუზა ძაძიტაძე**
**ქუთაისიდან**

## ავტორბოლა

ფორმულა 1

XI ეტაპი

უნგრეთის დიდი პრიზი

# კინაღამ არ ითვლება

კვირას ჰუნგარორინგზე გამართული უნგრეთის დიდი პრიზი კინაღამ სენსაციით დასრულდა. მსოფლიოს ჩემპიონმა დეიმონ ჰილმა მართლაც ბრწყინვალედ იასპარეზა, თითქმის მთელი რბოლა ლიდერობდა და მხოლოდ ბოლო წრეზე, ისიც ტექნიკური პრობლემების გამო დათმო პირველობა.

...უნისთვის" პირველი წარმატება იქნებოდა.

პირველი სენსაციური ნაბიჯი ინგლისელმა კვალიფიკაციისას გადადგა, როდესაც მესამე სასტარტო პოზიცია მოიპოვა. როგორც ჩანს, ტომ უოკინშოუს მეცადინეობამ ნაყოფი გამოიღო და აკი აშკარად მოუმატა გუნდმა. პირველ სასტარტო რიგში კი ჩემპიონობის ორი კანდიდატი მიხაელ შუმახერი (1.14,672; 191,300 კმ-სთ) და ვილნევი (1.14,859) აღმოჩნდნენ. ჰილის უკან კი ჰაკინენი, ირვინი და ფრენცენი განლაგდნენ. „ჯორდანის" პილოტებ- „მაკლარენის" პილოტებს გაუმართლათ — ორივე მესამე პოზიციიდან გამოეთიშა რბოლას, ირვინს კი მეექვსე ადგილი ნაკანომ დააკარგვინა.

ბოლო, 77-ე წრეზე ჰილს ჰიდრავლიკის სისტემის მოშლის გამო სისწრაფის შენელებამ მოუწია, ამით კი ვილნევი რას არ ისარგებლებდა და აკი ლიდერს წამოეწია. რადგან ტრასაზე გასასწრები ადგილი აღარ რჩებოდა, რისკიანი გადაწყვეტილება მიიღო: ბალახზე გადავიდა და ისე ჩამოიტოვა ყოფილი თანაგუნდელი, რბოლის




სამნი პოდიუმზე: ჰილი, ვილნევი, ჰერბერტი. ვილნევმა კი მოიგო, მაგრამ ჰილის უიღბლობაზე უფრო ლაპარაკობენ

— მეორე ადგილი ურიგო როდია, მაგრამ როდესაც თითქმის ბოლომდე ლიდერობთ, გამარჯვებაც თითქოს აგერ, აქვეა, ფინიშთან კი მაინც სხვა მიგასწრებთ, ცხადია, გულნატკენი დარჩებით — განუცხადა ჟურნალისტებს დეიმონმა. თუ ჰილი გაიმარჯვებდა, ეს „ეროუსისთვის", „იამაჰასა" და რბოლებში დაბრუნებული „ბრიჯსტოუნისთვის"...

ბი, რომლებიც აქ გამარჯვებაზეც ფიქრობდნენ, მე-13—მე-14 ადგილებზე აღმოჩნდნენ, წინა ეტაპის ტრიუმფატორი ბერგერი კი მე-7 გახლდათ. ბარიჩელომ და ჰერბერტმა კი ზუსტად ერთნაირი დროით მე-10—მე-11 ადგილები გაინაწილეს.

### განლაგება სტარტზე

მ.შუმახერი (ფერარი) 1.14,672; ვილნევი (უილიამს-რენო) 1.14,879; ჰილი (ეროუს-იამაჰა) 1.15,044; ჰაკინენი (მაკლარენ-მერსედესი) 1.15,140; ირვინი (ფერარი) 1.15.424; ფრენცენი (უილიამს-რენო) 1.15,520; ბერგერი (ბენეტონ-რენო) 1.15,905; ჰერბერტი (ზაუბერ-ფერარი) 1.16,138; ბარიჩელო (სტიუარტ-ფორდი) 1.16.138; ტრული (პროსტ-მუგენ-ჰონდა) 1.16,257; ფიზიკელა (ჯორდან-პეჟო) 1.16,300; რ. შუმახერი (ჯორდან-პეჟო) 1.16,686; მორბიდელი (ზაუბერ-ფერარი) 1.16,766; ნაკანო (პროსტ-მუგენ-ჰონდა) 1.16,784; მაგნუსენი (სტიუარტ-ფორდი) 1.16,858; ვერსტაპენი (ტირელ-ფორდი) 1.17,095; დინიცი (ეროუს-იამაჰა) 1.17,118; კატაიამა (მინარდი-ჰარტი) 1.17,232; სალო (ტირელ-ფორდი) 1.17,482; მარკეში (მინარდი-ჰარტი) 1.18.020.

სტარტზე თვალშისაცემი ორი „ფერარის" გაელვება იყო. შუმიმ მშვენივრად ისარგებლა თავისი მე-17 პოულით და დაწინაურდა. ირვინმა კი მეხუთედან მესამეზე გადაინაცვლა. მაგრამ ყველაზე ღირსშესანიშნავი ის გახლდათ, რომ ჰილმა ვილნევი ჩამოიტოვა და შუმის ჩაუდგა კვალში. პირველი ოთხი წრის განმავლობაში ეს ორი ძველი მეტოქე, ისე, როგორც ადრე, ზედიზედ აუმჯობესებდა წრის რეკორდს. მეხუთე წრეზე გერმანელი მხოლოდ 0,6 წამს იგებდა, ხოლო მესამეზე მყოფი ირვინი 3,4 წამით ჩამორჩებოდა ჰილს. გერმანელის პოზიცია არცთუ მყარი იყო და ჰილი ყოველ წამს ემუქრებოდა მას. მართლაც, მე-11 წრეზე, პირველ მოსახვევში შესვლისას დეიმონმა ტრასის შიგა მხარეს მოძებნა ადგილი გასასწრებად და მალე 5 წამიანი უპირატესობაც მოიპოვა. შარშან „სუზუკაზე" ჩატარებული რბოლის შემდეგ ინგლისელი პირველად დაწინაურდა. ცოტა ხანში შუმიმ ბოქსებში შეუხვია და მეორე ადგილი ვილნევს დაუთმო. რბოლას ინტერესი შეემატა, ქულებს დანატრებული ვილნევი ნელ-ნელა უახლოვდებოდა ლიდერს. ამ დროს ამათაც უწიათ პიტ-სტოპის დრომ და ხუთი წრის განმავლობაში ფრენცენმა გაილაღა, მანამ, სანამ აალებულ-აკვამლებული ბოქსებში შევიდოდა და რბოლას შეწყვეტდა.

51-ე წრეზე ჰილი 12 წამს იგებდა, ხოლო მე-60-ზე კი უკვე 30 წამი აშორებდა ვილნევს. ამ დღეს ფრენცენის გარდა არც შემდეგ კი ეს ეპიზოდი ასე ახსნა: „ვცდილობდი, არ ჩამოვრჩენოდი დეიმონს, მაგრამ ის მართლაც რომ ფრინავდა ამ დღეს, საბურავების მეორედ შეცვლის შემდეგ კი საერთოდ გაქრა თვალთახედვიდან. თავიდან არ ვნერვიულობდი, არ მჯეროდა, რომ რბოლის დამთავრებას შეძლებდა, მერე კი ნელ-ნელა დავიჯერე ეს: რბოლის მიწურულს ბოქსებიდან მაცნობეს, ჰილმა სიჩქარეს უკლოო. მეც მოვუმატე და საბოლოოდ ბალახზე გავასწარი".

ვილნევთან და ჰილთან ერთად პოდიუმზე ზაუბერელი ჰერბერტი ავიდა, შუმიმ თავის უმცროს ძმას აჯობა და მეოთხე იყო. ამით ჩემპიონატის ლიდერობა კი შეინარჩუნა, მაგრამ ვილნევს მხოლოდ სამი ქულითღა უსწრებს. მეექვსემ ნაკანომ დაასრულა რბოლა და „პროსტს" კიდევ ერთი ქულა მოუტანა.

ამ გამარჯვებით „უილიამსმა" „ფერარისთან" სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა, მაგრამ მისი ბიჭები ისე ველარ ჩაუქრობენ, ეს კი სერიოზული პრობლემების მაუწყებელი გახლავთ. მომავალი ეტაპი „სპა"-ს ჩქაროსნულ ტრასაზე ჩატარდება და აქ რეალურად გამოჩნდება ყველა გუნდის შესაძლებლობები.

ალეკო ჭაბუკიანი

### რბოლის შედეგები

| | | |
|---|---|---|
| უნგრეთის დიდი პრიზი | | |
| ჰუნგარორინგი, ბუდაპეშტი, 10 აგვისტო | | |
| დისტანცია 77 წრე, 305,536 კმ | | |
| 1. | ვილნევი | 1:45.47,149 10 ქულა |
| 2. | ჰილი | 9.079 წამით 6 ქულა |
| 3. | ჰერბერტი | 20,445 4 ქულა |
| 4. | მ.შუმახერი | 30,501 3 ქულა |
| 5. | რ.შუმახერი | 30,715 2 ქულა |
| 6. | ნაკანო | 41,512 1 ქულა |
| 7. | ტრული | 1:15,522 |
| 8. | ბერგერი | 1:16,049 |
| 9. | ირვინი | 1 წრით |
| 10. | კატაიამა | 1 წრით |
| 11. | ალეზი | 1 წრით |
| 12. | მარკეში | 2 წრით |
| 13. | სალო | 2 წრით |
| რბოლას გამოეთიშნენ | | |
| კულჰარდი | | 65 წრე |
| ვერსტაპენი | | 61 |
| დინიცი | | 53 |
| ფიზიკელა | | 42 |
| ფრენცენი | | 29 |
| ბარიჩელო | | 29 |
| ჰაკინენი | | 12 |
| მორბიდელი | | 7 |
| მაგნუსენი | | 5 |

**პირადი პირველობა**

1. მ.შუმახერი 56 ქულა; 2. ვილნევი 53; 3. ალეზი 22; 4. ბერგერი 20; 5. ფრენცენი 19; 6. ირვინი 18; 7. პანი 15; 8-9. კულჰარდი და ჰაკინენი 14-14; 10-11. ჰერბერტი და რ.შუმახერი 11-11; 12. ფიზიკელა 8; 13. ჰილი 7; 14. ბარიჩელო 6; 15. ვურცი 4; 16. ტრული 3; 17. სალო 2; 18-19. ლარინი, ნაკანო 1-1;

**გუნდური პირველობა:**

1. „ფერარი" 74; 2. „უილიამსი" 72; 3. „ბენეტონი" 46; 4. „მაკლარენი" 28; 5. „პროსტი" 20; 6. „ჯორდანი" 19; 7. „ზაუბერი" 12; 8. „ეროუსი" 7; 9. „სტიუარტი" 6; 10. „ტირელი" 2.

## თამბაქოს გზა

მომავალ სეზონში მსოფლიოს ჩემპიონატის ეტაპთა ოდენობამ შესაძლოა 19-ს მიაღწიოს.

მოსალოდნელია სამხრეთ კორეისა და მალაიზიის დიდი პრიზების დამატება. ლიბანის მთავრობა კი თანახმაა, 1999 წელს ბეირუთის ქუჩებში ფორმულა 1-ის რბოლა მოეწყოს. ამ ქვეყნებში თამბაქოს რეკლამა არ აუკრძალავთ, ასე რომ, აქ ეტაპების ჩატარებას გუნდების ძირითადი დამფინანსებლებისგან — თამბაქოს მწარმოებელთაგან მხარდაჭერა განაღდებული აქვთ.

## რატომ მალავენ?

აირტონ სენას დაღუპვასთან დაკავშირებულ პროცესზე ბრალდება ამტკიცებს, რომ ფორმულა 1-ის კონსტრუქტორთა ასოციაციამ დამალა ბრაზილიელის ბოლიდზე დამონტაჟებული კამერით გადაღებული მნიშვნელოვანი კადრები. ამავე პროცესზე მოწმედ გამოძახებული დეიმონ ჰილი უარყოფს პროკურორის განცხადებას, თითქოსდა ავარიის მიზეზი საჭის მექანიზმის დაზიანება იყო, ალენ პროსტი და შუმახერი კი პილოტის შეცდომას გამორიცხავენ.

## ოლიმპიადა – 2004

# რომი, რა თქმა უნდა, რომი

შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სხდომაზე 5 სექტემბერს დაასახელებენ 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქს ხუთი პრეტენდენტიდან — რომი, ათენი, ბუენოს აირესი, კეიპტაუნი, სტოკჰოლმი.

ამჯერად რომზე შევჩერდეთ. ოლიმპიადის მასპინძლობის პროპაგანდის კომიტეტის თავჯდომარემ ანტონიო ნორიმ განაცხადა, ასეთი სპორტული ზეიმის მასპინძლობა რომს სხვადასხვა ლამაზი ნაგებობის გარდა 135 ათას სამუშაო ადგილსაც მისცემსო. იქვე დასძინა, რომ ოლიმპიადის მასპინძლობით მარტო რომი კი არა, მთელი იტალია ნახავს დიდ მოგებას. „არა მგონია, ვინმე წინააღმდეგი იყოს, 21-ე საუკუნეში პირველ ოლიმპიადას რომ ვუმასპინძლოთ. სხვა თუ არაფერი, რომი ბოლოს და ბოლოს მსოფლიოს ხელოვნების დედაქალაქია".

2004 წლის ოლიმპიადის მასპინძლად რომის არჩევის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის წარმომადგენლები კი სულ სხვაგვარად ფიქრობენ. მათი თქმით, მომავლისთვის დაპირებული სამუშაო ადგილები ოლიმპიადის შემდეგ უკვალოდ გაქრება. ამგვარი ფორუმის მასპინძლობას კი დიდი თანხები სჭირდება. დღესდღეობით ქალაქის მერიას რამდენიმე ცენტრალური შენობის შესარემონტებლად სახსრები არ აღმოაჩნდა, ოლიმპიადისწინა პროპაგანდისთვის კი მილიონებს ხარჯავენ.

ვიდრე იტალიის დედაქალაქში რომის მასპინძლობის ავ-კარგზე ბჭობენ, ბუქმეკერები დროს უქმად არ კარგავენ და სავარაუდო მასპინძელი ქალაქების შანსებზე სანაძლეოს დებენ. რომის 2004 წლის ოლიმპიადის დედაქალაქად გამოცხადების შემთხვევაში, მისი მხარდამჭერნი გაორმაგებულ თანხებს მიიღებენ.

# სამშობლოს ზიანს რად აყენებთ?

იტალიის დარად, შვედეთშიც კარგა ხანია, მიმდინარეობს 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძლად სტოკჰოლმის არჩევის მხარდაჭერის კამპანია. შაბათამდე ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ 9 აგვისტოს სტოკჰოლმის ოლიმპიური სტადიონის ცენტრალური შესასვლელი ააფეთქეს მავანმა ბოროტმოქმედებმა „არზონისტების" დაჯგუფებიდან. სხვათა შორის, ამ ტერორისტული ჯგუფის წევრებმა შაბათამდე შვიდი სპორტული ნაგებობა დააზიანეს. 1912 წლის ოლიმპიადის მასპინძელი სტადიონის აფეთქებას კი, საბედნიეროდ, მსხვერპლი არ მოჰყოლია, არც არავინ დაშავებულა.

აფეთქების ადგილზე უმალ გაჩნდნენ პოლიციელები ძაღლებითურთ, მაგრამ ძებნამ ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო. ადგილობრივი პოლიციის შეფმა ჰარეტ ლიფტემმა განაცხადა, გამოძიება კი ინტენსიურად მიმდინარეობს, მაგრამ დამნაშავის დაკავება საეჭვოა, არანაირი სამხილები არ გაგვაჩნიაო.

ამ ყველაფერმა, ცხადია, გარკვეულწილად შეარყია სტოკჰოლმის პოზიციები, მაგრამ ქალაქის მერის, მილიონერ საქმოსან ოლაფ სტენამარის თქმით, აფეთქება პროპაგანდაზე არავითარ ზეგავლენას არ მოახდენსო. არადა ტერორისტებმა თავიანთი საქციელით მარტო სტოკჰოლმს კი არა, მთელს შვედეთს მოჭრეს თავი. მომხდარით აფორიაქებულმა სტენამარმა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის იტალიელ პრეზიდენტ პრიმო ნებიოლოზე თქვა, არასწორად იქცევა, რომს მხარს რომ უჭერსო. მერის უტაქტო ნათქვამი შვედეთის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ არნე ლუნგკვისტმა გამოასწორა, პრიმოს კარგად ვიცნობ, დარწმუნებული ვარ, მას ჩვენს წინააღმდეგ არაფერი ამოძრავებსო. მისი განცხადებით, სტოკჰოლმს კვლავაც დიდი შანსები აქვს, გახდეს 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძელი: „საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან 20 წარმომადგენელს ველოდებით. მანამდე სტოკჰოლმის სპორტული ნაგებობების დასათვალიერებლად 66 კაცი ჩამოვიდა. სასიხარულოა, რომ აქედან კმაყოფილნი წავიდნენ. იმედია, ახალი სტუმრებიც ასეთივე შთაბეჭდილებებით წავლენ" — განაცხადა მან.

სანამ სტოკჰოლმში აფეთქების შესახებ მითქმა-მოთქმაა, სპორტსმენებმა ხმა აღიმაღლეს და განაცხადეს, აფეთქება აფეთქებად, ჩვენ კი შვედეთის დედაქალაქს მხარს მუდამ დავუჭერთო. 200 მეტრზე მსოფლიოს ტრინიდადელი ჩემპიონის ატო ბოლდონის თქმით, აფეთქებამ შეაძრწუნა, მაგრამ იცის შვედების შესაძლებლობები და ფიქრობს, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდება. იქვე დასძინა, აფეთქების მიუხედავად სტოკჰოლმი ოლიმპიადის ერთადერთ მასპინძელ ქალაქად მესახებაო.

აფეთქებას შვედი ჩოგბურთელი სტეფან ედბერგიც შეუწუხებია. სამწუხაროა, ხალხი ასეთ რამეს რომ სჩადის, ნუთუ ვერ გრძნობენ, სამშობლოს ზიანს რომ აყენებენო.

## რაგბი

# ქურციკები დაიფრინეს

ოქლენდში დიდი სანახაობა გაიმართა. ახალზელანდიელებმა მსოფლიოს ჩემპიონ სამხრეთ აფრიკას უმასპინძლეს და შავი კონტინენტის თეთრ წარმომადგენლებს ისტორიაში ყველაზე მეტი ქულა აართვეს — ანგარიში 55:35 იყო. ცხადია, მასპინძელთა სასარგებლოდ.

თავიდანვე ისეთი თამაში გაჩაღდა, კაცი ვერ მოიწყენდა. მასპინძლებმა იმთავითვე აიშვეს და ლელო ლელოს მიაყოლეს, მაგრამ შუა ტაიმში სამხრეთაფრიკელებიც მგრად დადგნენ და მილ კრუგერმა სხვაობა შეამცირა, თუმცა, „ოლ ბლექსის" კაპიტანმა ფრენკ ბანსიმ, რომელიც ამ დღეს ნაკრებში 50-ედ თამაშობდა, ირიმას ლელო გაატანინა. გუნდები შესვენებაზე რომ წავიდნენ, ანგარიში 23:21 იყო „ოლ ბლექსის" სასარგებლოდ.

თამაში ხეირიანად განახლებული არც იყო, აფრიკელთა მეშვიდე ნომერი ანდრე ვენტერი მეტოქის კაპიტან შონ ფიცპატრიკს რომ მიეჭრა და სახეში ფეხი ჩაარტყა... ზილა. ვენტერი, ცხადია, გააძევეს, ტესტის შემდეგ კი ისიც განაცხადეს, ამაზე საჯარო ბჭობა კვირას გაიმართებაო. კაცნაკლულმა ქურციკებმა მეტოქეს ჯეროვანი წინააღმდეგობა ვეღარ გაუწიეს და მარშალმა, კალენმა და კრონფილდმა ლელოები გაიტანეს.

შეხვედრის მერე გამარჯვებულთ გახარებული მოძღვარი ჯონ ჰარტი ამბობდა, სამხრეთ აფრიკასთან ასეთი მოგება, ცხადია, კარგია, პირველ რიგში კი ფსიქოლოგიურად დიდად შეგვეწევა. ქურციკებს 55 ქულა რომ გაუტანო, ძალიან ძლიერი უნდა იყო. ეს ღირსშესანიშნავი დღეა ჩვენი რაგბისთვისო. ჰარტის შეგირდთაგან ძლეული სტუმრების გაწბილებული კაპიტანი გარე ტიჩმენი კი ნანობდა, როცა ასეთ მეტოქეს ნახევარი საათი კაცნაკლული ეთამაშები, ასეთი მარცხი რა გასაკვირიაო.

სამხრეთი აფრიკა: რენტი, დალტონი, პანტერი, ოტო, ენდრიუსი, კრუგერი (ვან ჰეერდინი 10), ვენტერი, ტიჩმენი, ვან დერ ვესტჰოიზენი, დე ბეერი (როსოუ 65), სნიმენი, ონიბოლი, მონტგომერი, სმოლი, ბენეტი

ახალი ზელანდია: დაუდი, ფიცპატრიკი, ბრაუნი, რ. ბრუკი, ჯოუნსი, რენდელი, კრონფელდი, ზ. ბრუქი, მარშალი, სპენსერი, უმაგა, ირიმია, ბანსი, უილსონი, კულენი

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მექველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29